

# საპრესბიუდო

ეროვნული  
ნიუსბიუროსი

სპორტული გაზეთი პარასკევი 22 სექტემბერი 2006 №219 (2841)

ფასი 50 თეთრი



## ან ამწყვვტი, ან დამწყვვტი. ან ჩვენი, ან მაღიარის

დღეს, თბილისის დროით 12 საათზე ბუდაპეშტის რომაი ტენის-აკადემიის კაპიტანტმადიონის თიხის კორტზე დევისის თასის გათამაშების ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფის გადამწყვეტი მატჩი დაიწყება უნგრეთისა და საქართველოს ნაკრებებს შორის.

პირველი კორტზე მასპინძელთა მეორე ნომერი სებო კიში და ქართველთა ლიდერი ირაკლი ლაბაძე გაულენ, ხოლო დღის მეორე შეხვედრაში უნგრელთა საუკეთესო ჩოგბურთელი კორნელ ბარდოცკი და ჩვენი მეორე ნომერი ლადო ჩიხლაძე გაარკვევენ ურთიერთობას.


ხვალ, 15 საათზე წყვილთა შეხვედრა გაიმართება — ლაბაძისა და ჩიხლაძის დუეტს ბარდოცკი და დიერდ კიშდორდი დაუპირისპირდებიან, ხოლო კვირას კვლავ ერთეულთა მატჩებია — თავდაპირველად კორტზე პირველი ნომრები ბარდოცკი და ლაბაძე გაულენ, ხოლო ბოლოს — კიში და ჩიხლაძე.

უნგრეთში კვლავაც არეული პოლიტიკური ამინდია და ეგებ, იქაურებს საჩოგბურთოდ დიდად არც სცხლოდეთ, მაგრამ ეს ჩვენი ნაკრების ამოცანას, ალბათ, უფრო ართულებს, ვიდრე აიოლებს. ამოცანას, რომელსაც ერთი პასუხი აქვს — გამარჯვებული ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში ადის და გელა ელერდაშვილის დამოძღვრით გუნდმა ყველაფერი უნდა იღონოს, რათა ობიექტურად გაცილებით დაბალი კლასის, მაგრამ უაღრესად მოტივირებულ მეტოქეს მისსავე კორტზე აჯობოს.

## VITA, CALCIO, VITA, ITALIA! ლუკი ლუჩანო მოჯი დაიბოძა: პროკურორი არა ერთი და არა ორი

იტალია ყველანაირად ცდილობს, კალჩოპოლის სკანდალი ჩამოირეცხოს და საქმეს ახალ კალაპოტს უჭრის.

გუშინ „იუვენტუსის“ ყოფილი გენერალური დირექტორი ლუჩანო მოჯი იტალიის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში დაიბარეს და ნაირგვარი კითხვებით დაბომბეს. მოკლედ, სკანდალი არ ცხრება და იტალიაში ყველაფრის დეტალურად გარკვევა სურთ. ამის დასტურია ისიც, რომ საქმეს მხოლოდ სპორტულ-საფეხბურთო დისციპლინარები აღარ გაარჩევენ — სამმა იტალიელმა პროკურორმა უკვე აღძრა საქმე კალჩოპოლის სკანდალთან დაკავშირებით და, ვინძლო, იტალიელ საფეხბურთო მაქინატორებს ვირის აბანო ელით.



გადიანი კაშილაძის ფოტო

# 19-წლამდელებმა მერანი გააუფოხბეს



## ტოპიოლერმა ტაიფები დაყო: ცუდი პირველი და კარგი მეორე

გაბრიელ კატიოლაძის ფოტო

საპარტიველოს 19-წლამდე- ლთა ნაკრებმა მიჯრით მეორე ტე- სტ-მატჩი გამართა — „მერანთან“ 2:0-ის შემდეგ ჰაინც ტოპიოლერის შევირდებმა პირველივე „გაგრას“ 3:0 სძლიეს. კაცმა რომ თქვას, ანგარიში მთლად არ შეეს- აბამებოდა თამაშის მსვლელობას: „გაგრა“ ასე ცუდად არ გამოიყ- ურებოდა, რამდენიმე სახიფათო მო- მენტი შექმნა, მაგრამ გატანა ვერ მოახერხა.

22-ე წუთზე ალექსი ბენაშვილ- ის დარტყმული გაგრელთა მეკარ- ემ მოიგერია და ბესიკ ჩიმაკაძემ დამატებაზე ივარგა — 1:0. 79-ე წუთზე თავად ბენაშვილმა შეაგდო საჯარიმო დარტყმით, თუმცა რიკ- ოშეტიც წაეხმარა. 85-ეზე კი მი- რზა ბეჟალავას ფლანგურ პასს რე- ვაზ წულაძემ ლამაზი თავური მი- აყოლა.

ვიტჯორჯიელმა წულაძემ ბოლო ნახევარი საათი ითამაშა და ამ დრ- ოში ნაღდად გამორჩეული იყო. სხვა მხრივ, უფროსმა ტოპიოლერმა მე- ტწილად მეორე შემადგენლობა ათ- ამაშა — ბუნებრივია, ყველა ფე- ხბურთელის გამოცდა სურს.

19-წლამდელობა შემადგენლობა ასეთი იყო: *კაკალაძე, გავაშელიშ- ვილი, თომაშვილი, ხიდეშელი, კვა- ნტალიანი (ჩარგეიშვილი 42), ბუა- ლავა, ბენაშვილი, ჩიმაკაძე (კვარ- აცხელია 46), მაილაშვილი (წულ- აძე 60), ბაბულაიძე (ჭელია 46), გოცირიძე.*

მოგესხენებათ, ჩვენს 19-წლამდე- ლებს 4 ოქტომბერს რუმინეთში ევროშესარჩევი ციკლის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი ეწყებათ, სადაც მეტოქეებად რუმინეთი, ჩრ- დილოეთ ირლანდია და ბელგია ეყ- ოლებათ.

**ჰაინც ტოპიოლერმა** „გაგრას- თან“ თამაშზე და მოლიანად სარ- უმინეთო მზადებაზე ეს გვითხრა: — „მერანთან“ მატჩის შემდეგ სხვა შემადგენლობა დაგაყენე და ცოტა იგრძნობოდა განსხვავება. მო- მავალი სეზონის გათვალისწინებით, დღეს 1989 წელს დაბადებული ფე- ხბურთელებიც ვათამაშე. „გაგრა“ განსაკუთრებულად მოტივირებული იყო, რადგან ნაკრებს ხედებოდა.

...პირველ ტაიმში შედარებით სუ- სტად გამოვიყურებოდით, ხშირი იყო უზუსტო პასები. შესვენებაზე

კი გუნდი დავარივე და მივხვდი, ბიჭები გასაკეთებელს გააკეთებდნენ. მიხარია, რომ 3:0 მოვიგეთ, მაგრამ რუმინეთში სხვა შემადგენლობა გე- ეყოლება. ორშაბათიდან ნაკრების ბაზაზე გადავდივართ ერთკვირიან შეკრებაზე. შემდეგ რუმინეთშიც გვექნება მოსამზადებელი დრო და იმედია, შესარჩევ მატჩებს კარგ ფო- რმაში შევხვდებით.

...ორშაბათს სიმოწებით გამოვი- ძახებ ნაკრებში „გაგრას“ 5 ნომე- რს (თოდაძე). მან დღეს ძალიან კარ- გად ითამაშა. ახლახან გაგრელთა მწვრთნელს ველაპარაკე და მან მზ- ადყოფნა გამოთქვა, რათა 19-წლა- მდელობა ნაკრებთან აქტიურად ითა- ნამშრომლოს. ამ გუნდს 1988 და 1989 წელს დაბადებული კარგი ფე- ხბურთელები ჰყავს.

...განვილიმა ორმა თამაშმა დამ- აკმაყოფილა, მაგრამ მუშაობა ჯერ გრძელდება. სამწუხაროდ, ტრავმ- იანობას ვერაფერს ვუშველი — რა- ტი წინამძღვრის მშვიდი და გიორგი განურავა გვაკლია, მაგრამ იმედ- ია, ორშაბათს ისინიც მწყობრში იქნებიან.

ილია ნანოზაშვილი

# ჩალაძე პარჯიუზე გაემორჩნდა



**რიზის „სკონტოს“** ქართველი თავდამსხმელი და- ვით ჩალაძე გამოჯანმრთელდა და ვარჯიში განააზ- ლა. ჩალაძეს სერიოზული ტრავმა ჰქონდა და საკმაო ხანი უქმად იყო.

„ძალიან მიხარია, რომ ჩალაძე გამოჯანმრთელდა. ის უკვე გუნდთან ვარჯიშობს, თუმცა ისეთი ტრავმა ჰქონდა, თამაშზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია“ — გან- აცხადა „სკონტოს“ თავკაცმა პოლ ეშუორტმა.

შეგახსენებთ, რომ „სკონტოს“ კიდევ ერთი ქართველი ზაალ ელიავა ჯერაც ტრავმირებულია: მან 3 სექტ- ემბერს საქართველო — სერბეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა ევროშესარჩევი მატჩისას ხელი მოიტეხა.

კახა ზალაზგაბიძე

13-18 ოქტომბერს თბილისში ევროპის 17-წლამდელობა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გაიმართება. საქართველოს ნაკრების მეტოქეები გერმანია, რუსეთი და მაკედონია არიან. თქმა არ უნდა, ჰერბერტ ცანკერის შევირდებს დიდი ბრძოლები ელით ჯგუფიდან გასასვლელად და ამაში მთავარი კონკურენტი გერმანია იქნება, რომელიც ახლა საარის ოთხთა ტურნირში (გერმანია, იტალია, ყატარი, ჰოლანდია) თამაშობს და სათბილისოდ ემზადება. ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს, რას ფიქრობს გერმანელ 17-წლამდელობა თავკაცი პაულ შომანი, ვისთან ინტერვიუც გერმანიის ფეხბურთის კავშირის ვებგვერდზე გამოქვეყნდა...



# პაულ შომანს საქართველო არც გასსენებია

— რა მდგომარეობაა ნაკრებში?

— გუნდი კარგ განწყობაზეა და ბიჭების მზადებით კმაყოფილი ვარ. ნაკრებში 16 წლის ბიჭები მყავს, რადგან მომავალზე ვფიქრობთ და საგაიზო ფინალურ ეტაპზე თუ გავ- ედით, იქ ეს გუნდი ითამაშებს.

— ვინ გამოირჩევა თქვენს გუნ- დში?

— ლიდერი ტონი კროსია, მან უნდა ათამაშოს გუნდი. თუმცა არც სხვებით ვარ უკმაყოფილო. ისინი რომ ტალანტები არ იყვნენ, ნაკრ- ებში არც მივიწვევდი. ისე, ეს პრო- ცესი ჩემთვის ძალიან ძნელი იყო — წარმოიდგინეთ, მთელ გერმან- იაში თვრამეტი 16 წლის ბიჭი უნ- და შეარჩიო, არადა, ასარჩევი ძალ- იან ბევრია...

— საარის ტურნირზე რას იტყ- ვით?

— ეს არის რეპეტიცია საქართვე- ლოში გამგზავრების წინ. იტალი- ასთან, ჰოლანდიასთან და ყატართან მატჩები ძალიან გამოგვაღებდა ევრო- ოშესარჩევ ტურნირში.

— როგორ შეაფასებთ ევროშეს- არჩევი ჯგუფიდან გასვლის შანსს?

— ჩვენ დიდი მიზნები გვაქვს, მათ შორის ევროპის ჩემპიონატზე თამაშიც, თუმცა საამისოდ ეტაპებია გასავლელი და, სულ მცირე, სამ კარგ გუნდს უნდა მოუვუკოთ. ახლა ასეთი რუსეთია, მომდევნო ეტაპზე შეიძლება ესპანეთი, საფრანგეთი ან იტალია შეგვხვდეს. ასე რომ, ძნელი მატჩები გველის, თუმცა ჩვენი პოტ- ენციალის გათვალისწინებით, ეს შე- საძლებელია.

შენიშნავდით, თბილისურ ტურნ- ირში მთავარ კონკურენტად პაულ შომანი რუსეთს მიიჩნევს და საქა- რთველო-მაკედონიას საერთოდ არ ახსენებს. რა როგორ იქნება სინა- მდვილეში, მოედანზე გამოჩნდება, მანამდე კი გერმანელთა შემადგენლ- ობაზეც ვთქვათ...

**მმართველი:** ფაბიან ვიფერი (ლევერკუზენი), რენი ვოლატი (ნი- ურნბერგი);

**მცველები:** ბასტიან ვერსი (დორტმუნდი), ფაბიან ვიოტცი (დორტმუნდი), ვიქტორ მაიერი (პა- მბურგი), მარვინ პაპანი (შალკე), ნილს ტეიშერი (ლევერკუზენი), მარკუს უნტი (ნიურნბერგი);

**ნახევარმცველები:** საშა ბიგალკე (ჰერტა), პატრიკ ფუნკი (შტუტგარტი), ტონი კროსი (ბაიერ- რნი), კონსტანტინ რაუში (ჰანოვე- რი), კევინ ვოლცი (ბოლტონი, ინგ- ლისი);

**თავდამსხმელები:** დენის ლოვიდატი (მიონხენგლადბახი), ალ- ექსანდერ ესკენი (კაიზერსლაუ- ტერნი), მარვინ კნოლი (ჰერტა), პინიხ საუერბიერი (ლევერკუზენი), კრიკ ტაპისერი (მიონხენგლადბახი).

თუ ამ შემადგენლობიდან ვინმე დაშვდება, შომანი თბილისში სათა- დარიგო მოთამაშეს წამოიყვანს. კან- დიდატები ესენი არიან: გერიტ ჰერ- მსენი (ლევერკუზენი), იანიკ კაკოკო (ბაიერნი), მიხაელ მაური (მიუნხენ 1860), ტორბენ შტადლერი (კარლ- სრუე), იონას შტრიფლერი (ჰოფენჰ- აიმი), მათიას ტიტცი (დუისბურგი).

კახა ზალაზგაბიძე

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი  
ჩვენი მეტოქე

# ლიტვაე ქუვეითი შეითანსება

7 ოქტომბერს ევრო 2008- ის შესარჩევი ციკლის მორიგ მატ- ჩში ლიტვის ნაკრები სტუმრად ფა- რერებს ეთამაშება, 11 ოქტომბერს კი ამხანაგურად ქუვეითს გაეჯიბ-

რება. ბალტიისპირელებმა უკვე ყე- ელაფერი შეათანხმეს აზიელებთან. შეგახსენებთ, რომ ლიტვაემ შესა- რჩევი ტურნირი სენსაციურად დაი- წყო — სტუმრად მსოფლიოს ჩემპ-

იონ იტალიას ქულა დასცანცლა, თუმცა მერე შინ შოტლანდიასთან 1:2 წააგო და ერთი ქულით მეხუთე ადგილზეა სატურნირო ცხრილში.

კახა ზალაზგაბიძე

ჰოლანდია
თასის მეორე ეტაპი
გენეპოში 0:10 ალკმაბარი
მალბაიში 3:2 დორდრეხტი
ზოიდალი 0:დ.დ.(0:0) იდალსიორი
ვიენაში 2:3 ფიფინოორდი
ჰირენვიინი 0:2 როდა
ნორვეგია
თასის ნახევარფინალი
რუსანაორობი 2:5 სანდფიორდი

უგანდითი
ალსკენსკა
XIX ტური
ჰამარში 3:3 გიოტაგორობი
მალშიო 2:2 კალმარი
იორობიტა 0:2 იოსტარსი
თურქეთი
თასის
მთიეპსამატილფინალი
გუიუშაშირი (5:3ჟ) 2:2 სამსუსზორი

# დოლ-გარემონი კრივოი როგში

## გურდულმა და გიგიაძემ კრივბასი ქართულად ააღმარეს

ლადო ბურდულია „კრივბასში“ ფინანსურ პრობლემებზე უკვე აღარავინ ლაპარაკობს, კრივის წარსულს ჩაბარდა და ახლა ყველაფერი სტაბილურადაა, რაც ჩვენს თამაშზეც აისახება. ჩემპიონატის მეშვიდე ტურის მატჩს კლუბის ახალი აქციონერები დაესწრნენ და დაგვიბრუნდნენ, დაფინანსებას საგრძობლად გაგიზრდითო. მოკლედ, „კრივბასში“ ძალიან კარგი სიტუაციაა. ძალიან ალბათ უკეთესიც იქნება. დღესდღეობით ჩემპიონატში მეშვიდე ადგილზე ვართ, მაგრამ მესამე ადგილს მცირე სხვაობით ჩამოვრჩებით.

— უკრაინული პრესა წერს, ქართველები გუნდში საუკეთესო არიანო...

— ძალიანაც კარგი, ასე თუ ფიქრობენ ურნალისტები. ჩვენ კრივოი როგში მართლაც ძალიან გვაფასებენ და პატივს გვცემენ. სტადიონზე „კრივბასის“ ფან-კლუბის წევრები მთლად დოლ-გარემონით დადიან და მატჩებისას ქართულად წაუმღერებენ ხოლმე ჩვენი სამადლობელიც ჩვენი კარგი თამაშია. ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, კიევის „დინამოს“ და ლონცის „შახტარს“ ვერ დავეტოლებით და ამ სეზონში ორივესთან წავაგეთ, მაგრამ სხვა გუნდებს პრობლემებს არ ვაკლებთ.

— „კრივბასში“ ძველ პოზიციაზე თამაშობ?

— არა, მეტწილად მარცხენა ფლანგზე ვარ, მარჯვენა შემტევი კი ვასო გიგიაძეა. თუმცა თამაშისას ადგილებს ხშირად ვიცვლით, რასაც კარგი შედეგი მოაქვს. ვასო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია. თავად საუკეთესო ახალწვეულებს შორის მეორე ვარ. „კრივბასში“ თამაში მართლაც კარგად წავვიციდა.

— კი მაგრამ, ბოლო ტურებში მატჩის ბოლოსკენ რატომ გცვლიან?

სეზონის წინ კრივოი როგის „კრივბასში“ შექმნილი ფინანსური პრობლემების შემდეგ არავის ეგონა, ეს საშუალო უკრაინული გუნდი ასე თუ მომძღვრდებოდა. ახლა უკვე უკრაინული სპორტული მედია „კრივბასის“ და, მით უმეტეს, იქაური ქართველების ლადო ბურდულიასა და მასილ ბიბინაძის შთამბეჭდავი თამაშის ხსენების გარეშე დღეს არ აგდებს. ეგეტ რომ არა, „კრივბასის“ ქომავობა სტადიონზე თურმე დოლ-გარემონითაც დადის და ქართული მოტივებით ამხნევენს გუნდის ლიდერებს. არც ჩვენები არიან ვალში, გიგიაძე უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირია, ბურდული კი უკრაინაში საუკეთესო ახალწვეულთა შორის მეორეა და, როგორც ყოველთვის, საგოლე პასებით გამოირჩევა.

მოკლედ, კრივოი როგი ჩვენიანებს ყოჩაღი თამაშისთვის ტაშს უკრავს, გუნდის მწვრთნელს კი „კრივბასი“ გიგიაძისა და ბურდულის გარეშე ველარ წარმოუდგენია. ჩვენც გუშინ ორივე ფეხბურთელს დაფუკავშირდით და იქაურ ამბებზე ვკითხეთ...



— ორჯერვე დავშავდი, თანაც თამაშები უკვე გაკეთებული იყო და ტრავმის გართულებას მოვერიდე. ბოლოს თითი ვიტყინე და მწვრთნელს შეცვლა თავად ვთხოვე. ისე კი, ძალიან კარგ ფორმაში ვარ.

— საქართველოს ნაკრებში, როგორც ვიცით, არც ახლა ხარ გამოძახებული...

— რა გვიასუსხთ?! ნაკრებს მწვ-

რთნელი ჰყავს და მან თავისი საქმე იცის. იმედი მაქვს, ნაკრებში გამოძახებას მომავალში დავიმსახურებ.

ვასილ გიგიაძე: ჯერჯერობით ექვსი გოლით უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირი ვარ — ხუთი გოლი ბოლო ოთხ მატჩში გავიტანე. ორი ბურთი საჯარიმოებიდან შევაგდე, ოთხივე პენალტით... — ეს ოთხივე პენალტი კი შენი-

ვე წაქცევისთვის დანიშნულა...

— დიახ, ორჯერ მეკარემ წამაქცია, ორჯერაც მცველებმა. ამ ეპიზოდებისას გოლები უნდა გამეტანა, მაგრამ აღარ მაძროვეს.

— ბომბარდრობასთან ერთად გიგიაძე უკრაინის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელიაო...

— გამოკითხვაში ჯერჯერობით მეოთხეზე ვარ. საუკეთესო თავდა-

მსხმელის ნომინაციაში კი უვოლო სერგეი რებროვის შემდეგ მეორეზე ვარ.

— ამ სეზონის დაწყებამდე რუმინეთში აპირებდი წასვლას. ახლა რას ფიქრობ?

— ბუქარესტის „დინამოსთან“ მართლაც მქონდა კონტრაქტი გამზადებული, მაგრამ შემდეგ „კრივბასი“ ფინანსური კრიზისიდან გამოვიდა და აქ დავრჩი. კონტრაქტი ზაფხულამდე მაქვს, თუმცა ზამთარში, შესაძლოა, ახალს მოვაწერო ხელი.

— ჯერ არ გადაგიწყვეტია?

— არსად მეჩქარება და ჯერ კონკრეტული წინადადება არც „კრივბასიდან“ მიმიღია, ახალ კონტრაქტზე პირველი წრის დამთავრების შემდეგ დავილაპარაკებთ. საქმე ისაა, რომ წლეულს ჩვენ უფასო თანხის საგზურის მოპოვებაზე ვფიქრობთ და თუ უფროსობამ იქამდე არ გადაიფიქრა და ახალი ფეხბურთელებიც მოიწვია, კონტრაქტსაც გავავრძელებ. ამბობენ, ზამთრის ტრანსფერებისას ოთხი-ხუთი ძლიერი ფეხბურთელი უნდა დავიმატოთო.

— „კრივბასისთვის“ უფასო თანხზე თამაში რამდენად რეალურია?

— თუ გავძლიერდით, რატომაც არა... დღესდღეობით კი საამისოდ კარგი პერსპექტივა ჩანს. ახლა ხარკოვში გვაქვს მნიშვნელოვანი მატჩი, მერე ლონცის „შახტარსთან“ და ამ შეხვედრების შემდეგ უფრო გამოჩნდება, რა შეგვიძლია.

— ამ მატჩების შემდეგ კი საქართველოს ნაკრები გელის...

— დიახ, გავიგე, რომ ნაკრებში გამოძახებას და ძალიან გამიხარდა. მგონი, ახლა მართლაც საუკეთესო ფორმაში ვარ და უფრო ის გამიხარდება, ჩემი თამაშით ეროვნულ გუნდს თუ დავუხმარები. საამისოდ მზად ვარ.

კობა ინასარიძე

# მაინს ჭანტურია მებარემ ხერხითაც უნდა ხერხოს

მეკარე — ეს კვლავაც ერთ-ერთი აქტიური საკითხია საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის. ამ თემაზე სასაუბროდ ოთხ ბაბელებს მივმართეთ,

ვინც ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მეკარე იყო და ნლების განმავლობაში მუშაობდა ეროვნულ ნაკრებში მეკარეების მწვრთნელად...

— როგორ შეაფასებდით საფრანგეთთან და უკრაინასთან ჩვენი ეროვნული გუნდის მეკარის გრიგოლ ჭანტურიას თამაშს?

— ჰქონდა შეცდომები, მაგრამ საფრანგეთთან მარცხს მხოლოდ მას ვერ დავაბრალებ. იყო პატარა პატარა შეცდომები უკრაინასთანაც, ნერვიული მატჩი გამოდგა და უკრაინამ მინცდამინც კარგი შთაბეჭდილება ვერ დატოვა. კიეურმა მარცხმა ერთხელაც გვიჩვენა, რომ მტერი გამოცდილებაა საჭირო.

— გამოცდილებაში ალბათ იმასაც გულისხმობთ, რომ მეკარე უნდა გრძობდეს თამაშს და ხანდახან თავისებურ ხერხებსაც უნდა მიმართოს — გვიან შეიყვანოს ბურთი თამაშში, ტრავმა მოიმიზეზოს და თამაში შეაჩეროს, რითიც

რიტმს დააცხრობს — ასეთ რამეებს ხომ უმაღლესი კლასის მეკარეებიც არ თაკილობენ...

— ასეთი ხერხები მართლაც არსებობს და გამოცდილების ერთ-ერთი მანიშნებელია. მაგრამ გამოცდილების გარდა არის კიდევ ერთი აუცილებელი ფაქტორი ნაკრების მეკარისთვის — სათამაშო პრაქტიკა. თუ მცველი, ნახევარმცველი ან ფორვარდი სისტემატურად ვერ ხელება კლუბის ძირითად შემადგენლობაში, მას მაინც შეუძლია კლასის, გამოცდილების თუ კარგი მომზადების ხარჯზე ნაკრებში ნორმალურად თამაში, მაგრამ მეკარე ამ მხრივ სულ სხვა შემთხვევაა.


— ჭანტურიას გარდა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თუ ხედავთ ეროვნული ნაკრებისთვის

საინტერესო მეკარეებს?

— ნორმალურად გამოიყურება „ამერიის“ ქეჩაზია, კარგად თამაშობს „ოლიმპის“ ალაიძეც, მაგრამ ეროვნულ ნაკრებს მეკარე ნელ-ნელა უნდა შეაჩვიო, ჯერ ამხანაგურ მატჩებში უნდა ათამაშო... სხვანაირად კი მისი ნაკრების კარში ჩაყენება დიდი რისკია. ნაკრების მეკარისთვის ისიც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გრანდებთან თამაშის სინდრომი თავიდან ამოიგდოს.

— მიგაჩნიათ, რომ ამ დროისთვის მეკარეთა შორის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი ჩვენი ნაკრებისთვის ჭანტურიაა?

— სჯობს იმას ვენლოთ, ვინც კლუბში თამაშობს. გვაყვს სტურუა, გრიშკაშვილი, რევიშვილი, მაგრამ მათ სათამაშო პრაქტიკა არ



აქვთ. ჭანტურია რკინისებრი ბიჭია, ჩემპიონატის მატჩებში თანაგუნდელების კარნახიც იცის — ვფიქრობ, ამ მომენტისთვის ნაკრების კარში ის უნდა იდგეს.

— საქართველოს ნაკრებში უცხოელი მეკარის მოწვევაზე რა აზრის ხართ?

— როცა შესარჩევი ვგუფიდან გასვლის მინიმალური შანსი გვაქვს,

ჯობია, ქართველ მეკარეს ვენლოთ. შესარჩევი ეტაპის დაძლევის შანსი კი მაშინ გვექნება, როცა საქართველოს ნაკრებს, სულ მცირე, რვა მაღალი კლასის ფეხბურთელი ეყოლება. ახლა კი ძალიან ძნელია, მხოლოდ ოთხ-ხუთ კაცზე დაყრდნობა და გრანდებთან ბრძოლა. თუმცა შიშით არავის უნდა ვეთამაშოთ.

დავით თამართილაძე



# დავით ოდიკაძე: ჩემთვის ახლა ყველაფერი ლამაზია ჯერ დინამო 2, მერე დინამო

„საოცარი გრძნობა მაქვს, რაღაცნაირად გაუცხოებული ვარ. ისეთი რამ შემემთხვა, ახლაც ფიქრებში ვარ და მომხდარი თავიდან ვერ ამომიგდია“ — ეს დავით ოდიკაძის სიტყვებია, 25 წლის ფეხბურთელის, რომელმაც ერთი წელი ციხეში გაატარა და გუშინინ გამოვიდა.

გულლია, დინჯი, მორიდებული და მეგობრული — სხვანაირად არც შეიძლება იცნობდე „ოდოს“. შარშანდელ ავადსახსენებელ ტრაგედიამდე ის საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლებოდა და ეროვნულ ნაკრებშიც მოიკიდა ფეხი, მერე კი...

დავით ოდიკაძეს გუშინ „დინამოს“ ბაზაზე შევხვდით და სალაპარაკოს რა დაღვედა — მთავარი კი ისაა, რომ „ოდო“ ფეხბურთს დაუბრუნდა...

— ძნელი გასახსენებელია, მაგრამ რა გაიფიქრე, როდესაც ციხეში აღმოჩნდი?

— მაშინ ფეხბურთზე წამით არ მიფიქრია, მხოლოდ მომხდარი ტრაგედია მედგა თვალწინ. საშინელება იყო, მაგრამ მამა ალექსის დახმარებით ნელ-ნელა გამოვედი მდგომარეობიდან. მეგობრებიც სულ გვერდში მედგნენ. თავიდან არა და, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში რომ გადამიყვანეს, იქ შეიძლებოდა მნახველების მოსვლა. ძალიან ხშირად მაკითხავდნენ ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები, ფეხბურთელები.

— წარმოგვიდგენია, ციხიდან სახლში რა გრძნობით დაბრუნდებოდი...

— ძალიან გახარებული ვიყავი. ისე, ციხეშიც ბევრი მეგობარი გავიჩინე და მათთან დაშორებაც გამიჭირდა.

— როგორც ვიცით, ციხეში ვარჯიშობდი — შენი გუნდიც კი გყოლია...

— რაც რუსთაველი გადამიყვანეს, მერე ღაღიწვე ვარჯიში. ბოლო

ორი თვე ჩვეულებრივად ვვარჯიშობდი. თამაშით კი ასფალტის მოედანზე ვთამაშობდით — თბილისელებს ცალკე გუნდი გვყავდა, იმერლებს ცალკე და ასე შემდეგ. ჩვენ ყველას ვუვებდით.

— წონაში როგორ ხარ შარშანდელთან შედარებით?

— ორი კილოგრამი დავიკელი. რა. თქმა უნდა, ვარჯიშის კი არა, ნერვიულობის გამო.

— „დინამოში“ ვარჯიშს როდის იწყებ?

— დღეს სამედიცინო შემოწმება გავიარე, ხვალეიდან კი „დინამო 2“-ში შევუდგები ვარჯიშს. ძირითად გუნდში, ალბათ, ორ კვირაში გადავალ.

— როგორ გგონია, ძველებური ფორმის აღსადგენად დიდი დრო დაგჭირდება?

— დრო ნაღდად დაგჭირდება, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ საამისოდ. ფეხბურთზე კარგად ამ ცხოვრებაში არაფერი მეხერხება. მის გარეშე თავი ვერ წარმომიდგენია.

— ბოლო ორი თვე კი ვარჯიშობდი, მაგრამ ძალაუნებურად არ

გიფიქრია, მორჩა, ფეხბურთს ვეღარ ვითამაშებო?

— მეგობრები ყველანაირად მხმარებოდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ, ასე რომ არ მეფიქრა. მეც თავი ხელში ამყავდა. რა თქმა უნდა, ხალისიანად ვერ ვიქნებოდი, მაგრამ...

— ალბათ, ქართული და უცხოური ფეხბურთის ამბებს იგებდი ციხეში...

— კი, ამის საშუალება მქონდა. ჩვენი ჩემპიონატის დონე არ ვიცი, მაგრამ ნაკრების პროგრესი კი აშკარაა.


— თბილისის გალამაზებული გეჩვენა?

— დიახ, ერთი შეხედვით თითქოს არაფერი, მაგრამ ჩემთვის ახლა ყველაფერი ლამაზია.

— ჯერ „დინამო 2“, შემდეგ „დინამო“... ერთი წლის წინ ეროვნულ ნაკრებში თამაშობდი და როგორ გგონია, მოახერხებ იქ ხელახლა მოხვედრას?

— ჩემი მთავარი სპორტული მიზანი სწორედ ნაკრებში დაბრუნებაა.

ილია ნანობაშვილი



დავით ოდიკაძის ფოტო



დავით ოდიკაძის ფოტო

## დაქობილდებიან კამერუნი და დინამო?

დაახლოებით ათი დღეა, თბილისის „დინამოში“ ორი კამერუნელი ლეგიონერი ისინჯება, მათგია გურულმა გაუწია რეკომენდაცია.

მოგეხსენებათ, უცხოელებისთვის სატრანსფერო ფანჯარა ღიაა და დინამოელებს თუ სურვილი გაუჩნდებათ, კამერუნელების განაცხადში შეყვანა თავისუფლად შეიძლება.

ახლა კი მოკლედ ვთქვათ ორი-

ვე ბრვე აფრიკელზე... **კრისტიან მიშელ ეპანი**, 24 წლის: ამპლუით ნახევარმცველია, თუმცა მცველადაც ხშირად უთამაშობს. კამერუნის ნაკრების ტესტ-მატებში უბურთავია, „დინამომდე“ კი რამდენიმე კლუბი გამოუცვლია, მათ შორის. ფრანგული „ნანტიც“. მანამდე კი სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთ გუნდში ირიცხებოდა.

**ემანუელ ყიაპა**, 23 წლის: თავდაამსხმელი. კამერუნის იუნიორთა

ნაკრების ყოფილი ფეხბურთელია, კამერუნელის გარდა უთამაშია კოტდ'ივუარულ გუნდებშიც.

შეგახსენებთ, „დინამოს“ ამჟამად სამი ლეგიონერი ჰყავს. ბრაზილიელი ამბროზიო და ეკვადორელი ურტადო და ანგულო. თუმცა ამ ტრიოდან მხოლოდ ამბროზიო ყოჩაღობს.

ენახოთ, იქნებ კამერუნელებმაც დაამტკიცონ...

ილია ნანობაშვილი

**თქვენი ინტეხვიუ**

**მალხაზ ასათიანთან**

მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: [Starmail@Caucasus.net](mailto:Starmail@Caucasus.net)

თქვენთვის ამ კარგად ნაცნობი რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი იქნება. მოგვანოდეთ კითხვები და „თქვენი ინტერვიუ“ არაუგვიანეს 1 ოქტომბრამდე გამოქვეყნდება. იაქტიურეთ, მალხაზ ასათიანი ელის თქვენს კითხვებს...



# პარაკანკალი ფეხბურთის ისევ სპორტად აქცევს



ლუკა პანკალი

მიზეზსაც — გასულ პარასკევს იგი იტალიის ტელეკომის პრეზიდენტად აირჩიეს, იტალიის ტელეკომი კი სერია A-სა და სერია B-ს სპონსორია, რამაც ვერეთ-წოდებული „ინტერესთა კონფლიქტი“ წარმოშვა და ქვეყნის სპორტულმა შეფებმა მას ფეხბურთიდან წასვლა ურჩიეს. შეგახსენებთ იმასაც, რომ როსი ფედერაციის პრეზიდენტად მისი დანიშნეს, მას მერე, რაც კალოპოლის სკანდალის გამო ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ფრანკო კარარომ თანამდებობა დატოვა, თუმცა ეს უკვე წასული ამბავია, ახალი კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ ლუკა პანკალის დანიშვნა გახლავთ.

ლუკა პანკალი 42 წლის რომაელი ადვოკატი გახლავთ. იმავდროულად იგი იტალიის ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტია. ზოგადად სპორტთან ის შეხება აქვს, რომ სიმამწეულში ნიჭიერ ხუთჭიდელად ითვლებოდა, მაგრამ 17 წლისა დოლის დროს ცხენმა ჩამოაგდო და სეზონად დარჩა. მას მერე სინიორ პანკალი ინვალიდთა სპორტის სამსახურშია, თავად კი როგორც სეზონად მოცურავემ პარალიმპიადის 16 და მსოფლიოს ჩემპიონატის 10 მედალი მოიგო.

„მე სპორტის კაცი ვარ და კანონთა უზენაესობისა მწამს — უთხრა პანკალიმ „გაბეტა დელო სპორტს“ — მერწმუნეთ, გვიღო როსის ნაჯაფარი წყალში არ ჩაიყრება და არც იტალიური ფეხბურთის განახლების პროცესი შეჩერდება. ფეხბურთი განა მხოლოდ ბიზნესია, ის სპორტია, რომელსაც მთელი ძალითა და ღონის სწორედ პირველად და ჭეშმარიტ ფასეულებებს დაუბრუნებ. რამდენ ხანს დაკრები თანამდებობაზე? ამ კითხვაზე ახლა პასუხს ნამდვილად ვერ გავცემთ, ძალიან ადრეა“.

ლუკა პანკალის თანაშემწედ ანუ ვიცე პრეზიდენტად კი ოლიმპიურმა კომიტეტმა წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ლუიჯი იგივე ჯიჯი რივა დანიშნა. რივას აქამდე ეროვნული ნაკრების მენეჯერობა ებარა.

პაპუნა კილია



გვიღო როსი: მე თავი დამანებეთ

## მეც მენარად მოგატყუებს!

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის გადამდგარმა პრეზიდენტმა გვიღო როსიმ განაცხადა, რომ ვითარების რეალურად შეცვლა და საფუძვლიანი რეფორმა სინამდვილეში არავის უნდოდა. კალოპოლის გამოძიება და განაჩენი კი სერიოზულ ცვლილებებს არ მოიტანსო. შეგახსენებთ, რომ ფრანკო კარაროს ნაცვლად პოსტზე მისი მოსული როსი რამდენიმე დღის წინ გადადგა და „ტელეკომ იტალიას“ მმართველი გახდა, რამაც ფედერაციის პრეზიდენტობიდან წასვლა აიძულა. ამის გაკეთება მას იტალიის ოლიმპიური კომიტეტის შეფმა ჯანი პეტრუჩიმაც სთხოვა, რომელმაც თავის დროზე დანიშნა კიდევ როსი და მისი დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ...

„ამ თვეების მანძილზე მივხვდი, რომ რეალური ცვლილებები არავის უნდოდა და ამისთვის საჭირო პირობები არ იყო. პეტრუჩი ძალიან თავანძინი და მონდომებულია, რასაც ვაფასებ, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერძობი, რომ ჩემი არ სჯეროდათ და მხარდამჭერი ბევრი არავინ გახლდათ. დარწმუნებული ვარ, სწორედ საუკეთესო დრო იყო ცვლილებებისთვის, მაგრამ ისეთ მოულოდნელ ბარიერებს ვხვდებოდი, რომ მივხვდი, ამის მსურველები ძალიან ცოტანი იყვნენ — აღნიშნა როსიმ.

საერთოდ, როსის სხვადასხვა ორგანიზაციით უპრობლემო ურთიერთობა არასოდეს ჰქონია და მას ბევრი კრიტიკოსიც ჰყავდა. მაგალითად, იტალიის ლიგის ახლანდელი შეფი ანტონიო მატარეზე. როსის წასვლის ერთ-ერთ მიზეზად კულუარებში იმასაც ასახელებენ, რომ მას არ მოსოწონს იტალიის პრეტენზია ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე, რადგან თვლის, რომ ფედერალური ბიუჯეტის ამისთვის მზად არ არის და თუ იტალიის კანდიდატურა დამტკიცდება, ამაზე ბევრი ფული დაიხარჯება.

გიორგი ბაბაძე

## დროებითი პარკერი

კვირის ბლავაშვილის მოხსნის შემდეგ „ლიდის“ დროებით მწვრთნელად ჯონ კარვერი დანიშნეს. 42 წლის ახალ თავკაცს დეივ ჯედისი დაეხმარება. ბლეკველის ყოფილ ასისტენტ კარვერს თავის დროზე „ნიუკასლში“ უმუშავია. 2004 წელს ბობი რობსონის წასვლის მერე იგი ცოტა ხნით ედგა სათავეში „კატკატებს“.

ჯერ უცნობია, თუ რამდენ თვეს დარჩება ჯონ კარვერი „ლიდსში“ მთავარ მწვრთნელად. კლუბის პატრონი კენ ბეტსის უკვე შეუგულებია კანდიდატები: ალან კერბიშლი და დენის უაიზი. ამათგან ერთ-ერთის ალბათ, ჩაბარებს კიდევ გუნდს, მანამდე კი კარვერი იქნება. ალან კერბიშლიმ წინა სეზონის დასრულების შემდეგ „ჩარლტონი“ დატოვა და ახლა უმუშევარია, ხოლო დენის უაიზი „სუინდონს“ თავკაცობს. უაიზი „ჩელსის“ ყოფილი ფეხბურთელია და ლონდონურ კლუბში სწორედ მაშინ თამაშობდა, როცა „ჩელსის“ პატრონი კენ ბეტსი იყო. ისინი ერთმანეთს კარგად იცნობენ, უაიზმა კი საკმარის კარგი გუნდი დააყენა „სუინდონისგან“. მისი ასისტენტი ასევე ყოფილი ჩელსელი გუსტავო პოიეტია.



ჯონ კარვერი

ალან კერბიშლისა და დენის უაიზის გარდა, საუბრობენ გლენ პოდლზე და კლაუდიო რანიერიზეც. პოდლი „კუულზის“ მწვრთნელი იყო წინა სეზონში, მაგრამ ივლისში წავიდა.

რაც შეეხება კვირის ბლეკველს, იგი ორწლიანი წარსულის განმავლობაში თავკაცობდა „ლიდსს“, მაგრამ ეს სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო — გუნდი ინგლისის ჩემპიონატში 23-ე ადგილზეა, არადა, მისგან პრემიერლიგაში დაბრუნებას ითხოვდნენ.

პაპუნა კილია

იტალიის ფეხბურთის ფედერაცია უპატრონოდ დიდხანს არ დარჩენილა — ორიოდ დღის წინ გადამდგარი გვიღო როსის თანამდებობა ლუკა პანკალიმ დაიკავა. აქამდე პანკალი იტალიის პარალიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გახლდათ, სხვა სიტყვებით, ქვეყანაში ინვალიდთა სპორტს ხელმძღვანელობდა. ფეხბურთის ფედერაციაში ის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მიაველინა.

მოკლედ, შეგახსენებთ გვიღო როსის გადადგომის

## სტაბილური ბასტი

ტრავიზოში გაწამებულია სე-ბასტიან დისლერმა „ბაიერნთან“ ერთად წაივარჯიშა ექვსთვიანი დასვენების მერე. შეგახსენებთ, რომ 26 წლის ნახევარმცველმა გერმანიის მუნდიალი და მთელი ეს პერიოდი მუხლის სერიოზული ტრავმის გამო გამოტოვა. კარიერის მანძილზე ის უკვე მეზუთედ დაშავდა.

„ბასტი ფანტასტიკოსთან“ ერთად ვარჯიში განაახლა ანდრეას გორლიცმაც, ვისაც ასევე მრავალი თვე გაუცდა. მიუნხენელთა ექიმების თქმით, ამჟამად ორივე მათგანის მდგომარეობა სტაბილურია, მაგრამ სანამ ფორმას არ აღიდგენენ, ვერ ითამაშებენ.

„ბაიერნის“ თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმენიგე: „სე-ბასტიანი მშვენივრად გამოიყურება და იმედია, მალე სრულფასოვნად დაუბრუნდება გუნდს. თუმცა არ უნდა დავგავიწყდეს, რომ იგი ექვსი თვე მკურნალობდა და მართალია, გვიანდა, მინდორზე რაც შეიძლება ჩქარა გავიღეს, მოთმინებით უნდა ვიყოთ და ბოლომდე გამოვჯანმრთოება დავაცადოთ.“

აქვე ვთქვათ, რომ „ბაიერნის“ აქედან ბრავილიელი მცველის ლუსიოს დისკვალიფიკაციის თაობაზე, დააკმაყოფილეს გერმანიის თასზე „ზანკტ პაულთან“ მატჩში ლუსიო ერთ-ერთ მეტოქეს, თომას მეგლს ეუხეშა, რის გამოც თავიდან სამთამაშოანი დისკვალიფიკაცია მოუსაჯეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი თასის ნახევარფინალში გუნდს ვერ დაუბრუნდებოდა, თუ რა თქმა უნდა, მიუნხენელები იქამდე მივიდოდნენ.

„ბაიერნმა“ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და თავისას მიაღწია კო-პიტილიაში, „ვალენსიაში“ დაბრუნდა. 30 წლის თავდასხმელს პრიმერადივიზიონში საქმეები მართლა კარგად მიუღის. ახალ გუნდში ჩემპიონატის ორი შეხვედრა ითამაშა და ორი გოლი გაიტანა, ერთი კვირის წინ კი ჩემპიონთა ლიგაში პირუისის „ოლიმპიკოსს“ სამჯერ შეუგდო.

„ძალიან მინდოდა დაგებრუნებოდი იმას, რაც ჩემთვის ნაცნობია და რასაც მიჩვეული ვარ — უთხრა მორიენტესმა ესპანური „სპორტის“ კორესპონდენტს — აქ თავს ვატივლებით კომფორტულად ვგრძნობ“. მადრიდის „რეალის“ ყოფილმა თავდასხმელმა „ლივერპულში“ ვერ მოიკიდა ფეხი, 61 შეხვედრაში მხოლოდ თორმეტჯერ მოახერხა გოლის გატანა. შედეგად, „ენფილდზე“ წელიწადნახევარიც ვერ გაძლო და 6 მილიონ ევროდ სამშობლომ დაიბრუნა.



„ინგლისური ფეხბურთის ფიზიკური ბუნება არ მომწონს — განმარტა მორიენტესმა — მსაჯებიც მეტის ნებას რთავენ ფეხბურთელებს და გაცილებით იმავითად უსტვენენ ვიდრე ესპანეთში. პრემიერლიგაში თავდასხმელი მეტოქე მცველისგან არ არის დაცული. ინგლისში მართლა ძელი დრო გადავიტანე“.

კოკი კანდელაკი

## ამ ყველაფერი მახსარებს




ესპანელი ფორვარდი ფერნანდო მორიენტესი ბედნიერი ყოფილა. მიზეზი: მან ინგლისურ პრემიერლიგას თავი დააღწია და სამ-





ვიტალი მუტკომ ლიბეცკური საქმის გამოძიება ბრძანა




აილო თუ არა ფული სტანისლავ ბერნიკოვი?

# შვილი მამის წინააღმდეგ დიდი სამი ნაფიქრო

„ბოლტონის“ მენეჯერმა სემ ალარდაისმა განაცხადა, რომ ბიბისის მამხილებელი ფილმი ტრანსფერებში შავი ფულის ტრიალის შესახებ, თავიდან ბოლომდე სიცრუეა აგებული და რომ ის ამ საქმეში სრულიად უდანაშაულოა.

„ყველაზე უფრო ის მწყინს, რომ იქ ჩემი კრედიტი ჩემს წინააღმდეგ ლაპარაკობს — თქვა დიდა სემმა — ისე გამოსდის რომ მისი, როგორც აგენტის გავლენა ჩემზე, განუზომელია“. საგანგებო განცხადებაში ალარდაისი ამბობს: „ამ ტყუილებმა ძალიან გამაბრაზა. ადამიანებმა, რომლებიც მე მღებენ ბრალს ამ ფილმში, უკვე დაუდასტურეს ჩემს ადვოკატებს, რომ ბიბისის სიცრუე უთხრეს.

ისინი იმ იმედით ცრუობდნენ, რომ ეგონათ, რომ ბიბისისგან მილიონებს მიიღებდნენ ან სპორტულ სააგენტოებს იყიდდნენ. ეგონათ, რომ მათი ნალაპარაკები ამგვარად იქნებოდა გამოყენებული და უკვე მიმბოლიდნენ. მათი სამარცხვინო საქციელის გამო ჩემს კარგ სახელს ჩრდილი მიადგა.



თუ რამე მტკიცებულება აქვს, ბიბისი ფეხბურთის ასოციაციას და გამოძიებას უნდა წარუდგინოს. მე კი ჩემი ღირსების დაცვას ვაპირებ და უკვე ვთხოვე ჩემს ადვოკატებს, რომ საჭირო ნაბიჯები გადაედგან“.

მამხილებელი ფილმის სხვა გმირს „პორტსმუთის“ თავკაც ჰარი რედნას ფეხბურთელებთან საიდუმლო მოლაპარაკებებში აღნაშაულებდნენ, ჰარის არც განცხადება გაუკეთებია და არც ინტერვიუ მიუცია. როგორც ამბობენ, მას არც გამოძიების ემინია, რადგან სრულიად სუფთაა.

ირაკლი ბაგჩრელიძე

## თემა რუსული სერიალისთვის: საფეხბურთო ჩერნუხა



### ჩვენში რომ ვთქვათ, რა არის ლიბეცკური ამბავები ან ახალი, ან უჩვეულო

თუ შინ ხართ, ახლავე მიმარჯვეთ ტელევიზორის პულტი და არხებს დაურბინეთ, ზოლო თუ სხვაგან ბრძანდებით, ნუ დაგვზარდებით, დაიმახსოვრეთ ჩვენი თხოვნა და სახლში რომ მიხვალთ, მაშინ გააკეთეთ იგივე, ოღონდ... აი, ეს კი თავიდანვე უნდა გვეთქვა, თორემ ვინ იცის, ტყუილად გაწვალეთ: ამას აზრი იმ შემთხვევაში ექნება, თუ რუსულ ტელეარხებს იჭერთ.

ვინდათ, ვითხრათ, რა სერიალებიდან ნახეთ ან რა სერიალებიდან ნახეთ კადრებს ჩვენი თხოვნის შესრულების შემთხვევაში? **Бригада, Матрешки, Мур есть мур 1, Мур есть мур 2, Мур есть мур 3, Боец, Бандитский Петербург, Крот, Ментовские разборки...** გაეგარძელოთ თუ საკმარისია იმის წარმოსადგენად, რამდენად აქტუალურია ამ ფილმების მთავარი თემა დღევანდელ რუსეთში? სანამ ლათინურ ამერიკაში სიყვარულის და მემკვიდრეობის ამბებში იხლართებიან, რუსები ერთმანეთს ხოცავენ და მერე საქმეს **ПО ПОНЯТИЯМ** არჩევენ. ბრატვა, რამე, **ваван, КОЛЯН...**

ჰოდა, სწორედ ბრატვაზე გვირბნა ვიამბოთ და თან დაგამშვიდოთ, რომ საქმე ფეხბურთის ეხება, თორემ რაღაც მეტისმეტად კინემატოგრაფიულ-განგსტერული სტატია გამოგვდის. ერთი სიტყვით, ზემოთ ჩამოთვლილი სერიალების მთავარი თემა ფეხბურთთანაა რომ არის გადაჯაჭვული, იმას მოგახსენებთ. ისე, ამაში, აბა, რა უნდა იყოს გასაკვირი, რუსული ფეხბურთი ხომ თანამედროვე რუსული

ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. საქმე კი ეხება მეორე დივიზიონის ცენტრალური ზონის გუნდში, ლიბეცკის „მეტალურგი“ დატრიალებულ ამბებს, რომელთა შესახებ ადრეც მოგახსენეთ, ახლა კი შეგახსენებთ და განვარცხობთ: რიანის „სპარტაკ-МЖК“-სთან 0:3 და სარანსკის „მორდოვიასთან“ 0:1 წაგებების შემდეგ ლიბეცკელთა ვარჯიშზე დიდი ამბები დატრიალდა. აქამდე ვიცოდით, რომ მწვრთნელის, სტანისლავ ბერნიკოვის შვილმა სცემა და თითქოს პისტოლეთითაც დაჭრა გუნდის კაპიტანი ალექსეი მოროჩკო, ზოლო კონფლიქტის მიზეზი გახლდათ ის, რომ ფეხბურთელმა გაბედა და გამოთქვა ეჭვი, რომ მწვრთნელი თამაშებს ყიდის, ახლა კი სურათი შეივსო. როგორც ჩანს, კაპიტანმა და კიდევ რამდენიმე მოთამაშემ მართლაც შეიტყვეს რაღაც ბერნიკოვის შესახებ. კერძოდ, როგორც გახუთი „ლიბეცკი ნოვოსტი“ წერს, მწვრთნელმა, სავარაუდოდ, „სპარტაკისგან“ 300 ათასი რუსული რუბლი აიღო და ეს თანხა რამდენიმე ფეხბურთელისთვისაც უნდა გაეყო, მაგრამ მოროჩკომ, დენის ყუკოსკიმ და ევგენი შარმინმა პასუხი მოსთხოვეს. ატყდა ხმაური. საქმეში აქტიურად ჩაერია ბერნიკოვის შვილი, რომელიც, როგორც ამბობენ, მსაჯულისა და მეტოქეების მოსყიდვასა და შავ ამბებში მამის მარჯვენა ხელია. მერედა, როგორც ჩანს, ბერნიკოვებმა მოსალოდნელი კონფლიქტის შესახებ წინასწარ იცოდნენ. ამას იქედან ვხვდებით, რომ დაიმაბა თუ არა საუბარი, „მეტალურგის“ საწვრთნელ ბაზაზე შევიდა ბრატვა ანუ ვიღაც ხუთი

კაცი, რომელთაც ზემოთ დასახელებული სამეული სცემეს. ბრატვას ფეხბურთელების დასახიჩრებაში აქტიურად ეხმარებოდნენ თავად მწვრთნელი და მისი ვაჟი, რომელმაც, როგორც ადრეც მოგახსენეთ, კაპიტანს პისტოლეთიდან ესროლა და ხელში დაჭრა. ბოლო ინფორმაციით, ტყვეები საბრძოლო არ იყო. „რაზბორკის“ შედეგად შარმინი ტვინის შერყევით წვეს, ყუკოსკი დალილაგებულია, ზოლო მოროჩკო საავადმყოფოში წვეს და ექიმები მას კიდევ კარგა ხანი არ გამოუშვებენ.

აქ აუცილებლად უნდა განვმარტოთ, რატომ არ ვამბობთ რაიმეს „მორდოვიასთან“ თამაშზე, რომელიც თითქოს ასევე გაყიდული იყო. საქმე ის გახლავთ, რომ, ზოგი წყაროს თანახმად, „მორდოვიას“ ფული აღარ აქვს და მეტოქეს ვერ მოისყიდდა — ადრე ამ გუნდს „სევეტოტენიკა“ ერქვა და ქალაქ სარანსკის აწ გაკოტრებული შესაბამისი კომბინატი დაუნანებლად აფინანსებდა.

საქმეს, ბუნებრივია, იძიებენ. თავის მხრივ კომისია გამოყო რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიტალი მუტკომაც, რომელმაც კომისიის წევრებს ლიბეცკში ჩასვლა და იქაურ ნამდვილ გამოძიებელთან თანამშრომლობა დაავალა. საინტერესოა, რომ „რაზბორკის“ ამბავს ადასტურებს მხოლოდ ექვსი ფეხბურთელი, დანარჩენი კი ან დაშინებულია, ანაც პანიწიებით ცხოვრობს და ამბობს, რომ არაფერი დაუნახავს, რადგან ვარჯიშით იყო გართული.

გაგრძელება, ალბათ, იქნება. **ბაპუნა კილია**



## ალონსო ჯადოგოლი

### ინგლისი

#### პრემიერლიგა

#### გადაღებული მატჩი

**ლივერპული 2:0 ნიუკასლი**  
1:0 კუიტი (29), 2:0 ხაბი ალონსო (79)  
**ლივერპული:** რენანი, ფინანი, კარაგერი, აგერი, ფ. ბურლილი, ლუს გარსია, ხაბი ალონსო, სოსოკო, ჯერარდი (მ. გონსალესი 85), ბელამი, კუიტი (ჯრაუნი 82)  
**მწვრთნელი:** რაფაელ ბენიტესი  
**მწვრთნელი:** პარკერი, კარი, რიჩიუჯი, გ. მური, ბაბაიარო, მილნერი (ნოვობია 68), პარკერი, ემრე, დაფი, ამიობი (სი-ბიერსკი 82), მარტინისი (ჯ. როსი 76)  
**მწვრთნელი:** გლენ რიოდერი  
**გაფრთხილება:** ლუს გარსია, მური  
**მსაჯი:** ჰალსი  
43 754 მაყურებელი

„ლივერპულმა“ როგორც იქნა შეწყვიტა 300 წუთიანი ვაკუუმი და „ნიუკასლი“ დაამარცხა.

დირკ კუიტიმ ბევრი ააცილა, თუმცა, თავისი პირველი მერსისაიდული გოლი მაინც გაიტანა, ხაბი ალონსომ კი ჯადო-ბურთი ჩასვა თავისი ნახევრიდან. მეკარე პარკერს ჩამოეძინა და ესპანელმა კარვად დაიჭირა მომენტით.

„იმ წუთში მინდოდა მეყვირა, პასი მიეცა-მეთქი — თქვა მატჩის შემდეგ რაფა ბენიტესმა — რადგან თამაშის წინ გრძელი პასების კეთებას ვთხოვდი. თუმცა, მერე ვეთხარა, ფანტასტიკური გოლი იყო-თქო“.  
„ნიუკასლი“ კი ამ მატჩში დაიჩაგრა: მსაჯმა მარკ ჰალსიმ ჯემი

კარაგერის ნაღდი ხელი ვერ დაინახა და პენალტი არ დაინიშნა.  
„რაფამაც კი მითხრა, რომ სუფთა პენალტი იყო“ — ამბობდა თამაშის შემდეგ ჯორდების მენეჯერი გლენ რიოდერი.

კრევე ბელამის კი ავი დღე ჰქონდა: მას ნიუკასლელებმა როგორც მოღალატეს და აღან შირერისთვის ცუდი სიტყვის შემბედავ კაცს, ისე უსტყენეს; თავისიანებმა კი როგორც უხეიროდ მოთამაშეს ამის გარდა, მინდორზე ჩხუბი მოუხდა სტივი კართან და გაწევა-გამოწევა „ნიუკასლის“ თანამშრომლებთან გვირბოვიც გააგრძელა.

#### ირაკლი ბაგჩრელიძე

პორტსმუთი	5	4	1	0	9:0	13
მანჩესტერი	5	4	0	1	11:3	12
ჩელსი	5	4	0	1	9:3	12
ვევერტონი	5	3	2	0	10:4	11
ასტონ ვილა	5	2	3	0	6:3	9
რედინგი	5	3	0	2	7:6	9
ბოლტონი	5	2	2	1	4:3	8
ფულემი	5	2	2	1	5:7	8
ლივერპული	5	2	1	2	5:6	7
ნიუკასლი	5	2	0	3	5:7	6
არსენალი	4	1	2	1	3:3	5
ვესტ ჰემი	5	1	2	2	6:7	5
ბლექბერნი	5	1	2	2	5:8	5
მიდლსბრო	5	1	2	2	5:9	5
ვიგანი	4	1	1	2	4:5	4
ტოტენჰემი	5	1	1	3	2:5	4
სიტი	5	1	1	3	3:8	4
ჩარლტონი	5	1	0	4	4:9	3
უოტფორდი	5	0	2	3	3:6	2
შეფილდი	5	0	2	3	2:6	2

# ეპერსონს სტვენა გალობასავით ესპის



ბრაზილიელი ნახევარმცველი ეპერსონი მადრიდის „რეალის“ ერთ-ერთი ახალწვეულია, რომელიც გუნდს ჯერ კარგად ვერ მოერგო. მისი თამაშით ფანები კმაყოფილები არ არიან და ხშირად უსტვენენ ხოლმე. თუმცა „ლევერკუზენის“, „რომასა“ და „იუვენტუსის“ ყოფილ მოთამაშეს ეს არ ანუხებს და თვლის, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ქომაგებს კი მოთმინებისკენ მოუწოდებს



— თქვენ ხშირად გისტვენენ და როგორ გრძობთ თავს?  
 — მშვენივრად. სტვენა ფეხბურთში ჩვეულებრივი ამბავია. ზეწოლა ჩემი ცხოვრების ნაწილია და ეს დისკომფორტს არ მიქმნის. „რეალის“ ღირსებას ვიცავ და ვიცი, უნდა მოვუმატო. ჯერ შესაძლებლობების ნახევარიც არ გამოვიყენე. ეს ნორმალურია, რადგან ახალ გუნდს ვეჩნით და დრო გვჭირდება. დარწმუნებული ვარ, სეზონის ბოლოს ფანები სხვაგვარად იქნებიან ჩვენდამი განწყობილი.  
 — ადაპტაცია ვიჭირთ?  
 — ადაპტაციის პერიოდი ჯერ ბოლომდე არ გამივილია. თანაგუნდელები კარგად უნდა გავიცნო და შევეწყო მათ. ვიცი, რომ „რეალის“ გულშემატკივრები ვერ ითმენენ და შედეგს ახლავე ითხოვენ. ეს ნორმალურია. ვიმეორებ, არც სტვენა მაწუხებს. სიმართლე გითხრათ, ეს უფრო მოტივაციას მაძლევს, ვიდრე მთრგუნავს.

— ანუ პროგრესს ჯერ არ ველოდით?  
 — 100 პროცენტით მზად ვერ არ ვარ. ბევრად მეტი შემიძლია, რაც გასულ სეზონებში არაერთხელ მიჩვენებია. თანაგუნდელებს კარგად უნდა შევეწყო და მოვუმატო. როდესაც შევთამაშდებით, შედეგიც არ დაახანებს.  
 — როგორი ურთიერთობა გაქვთ ფაბიო კაპელოსთან?  
 — კაპელოსთან ერთად ორ სხვადასხვა კლუბში ექვსი წელი მიმუშავია. „იუვენტუსში“ რამდენიმე ტიტულიც მოვიპოვეთ. იგი ჩინებულად მიცნობს და მენდობა. თუმცა ხელახლა უნდა დავამტკიცო, რომ მისი ნდობის ღირსი ვარ. „რეალში“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად არ გადმოვსულვარ, ამას დამსახურება სჭირდება. ვიცი, რომ თუ სათანადო ფორმაში არ ვიქნები, კაპელო არ მათამაშებს.  
 — როგორ შთაბეჭდილებას ტო-

ვებენ „რეალის“ ფანები?  
 — სანამ გადმოვიდოდი, ვიცოდი, რომ „რეალს“ განსაკუთრებული გულშემატკივრები ჰყავს. მათი მენტალიტეტი კარგად უნდა გავიცნო, ჯერ ამის სწავლაც მჭირდება. სამი წელია, გუნდს არაფერი მოუგია და ისინი მაინც ასე მზურვალედ ქომავობენ, ეს ბევრს ნიშნავს. „რეალისთვის“ ყველას კარგი გვინდა და თავდაუზოგავად უნდა ვიმუშაოთ.  
 — ნახევარდაცვის ცენტრში ვისთან გირჩვენიათ თამაში?  
 — მნიშვნელობა არ აქვს, ჩემი მეწყვილე მაჰამადუ დიარა იქნება თუ ხოსე მარია გუტი. ორივე ბრ-

წყინვალე ფეხბურთელია. ერთმანეთის სტილი უკვე ვიცით, მაგრამ ბევრი დრო ჯერ არ გვექონია, რომ შევთამაშებულყავით.  
 — იტალიიდან ესპანეთში გადმოსვლის მერე კაპელო შეიცვალა?  
 — არა, იგი ისეთივეა და ისევე ფიქრობს. რა თქმა უნდა, იტალიური და ესპანური ფეხბურთი ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ კაპელოს მიდგომა იგივეა. ყველამ ვიცით, რომ უნდა მოვუმატოთ, კაპელო ზედმეტს არაფერს ითხოვს. ვიცი, რაც შემიძლია და აქ გამარჯვებისთვის გადმოვვიდე. კარიერის დასრულებამდე დიდი დრო არ

დამრჩენია, ამიტომ მინდა, რომ ისინი საუკეთესოდ გავატარო და ტიტულები მოვიგო.  
 — რას იტყვით რონალდოზე? იგი ახლახან მომჯობინდა და დაეხმარება თუ არა „რეალს“?  
 — რონალდო ყოველთვის საჭიროა. იმედია, იგი მალე ბოლომდე გამოჯანმრთელდება და ფორმას აღიდგენს. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია და არაფერი აქვს დასამტკიცებელი. აღსანიშნავია ისიც, რომ როცა გუნდი წარუმატებლად თამაშობს, ზეწოლა უფრო ფორვარდებზე მოდის, ვიდრე გუნდის დანარჩენ წევრებზე.

## არაპატრიოტული ბანაკები ეპანეთი დანაკუფივულია



ლუის არაგონესი



დავიდ ალბელდა

„ვალენსიას“ ნახევარმცველი დავიდ ალბელდა თვლის, რომ ესპანეთის ნაკრების პრობლემა ლუის არაგონესი არ არის. მისი აზრით, რაც ესპანეთზე ჩამოყალიბებულ საყოველთაო აზრს ემთხვევა, ნაკრები წარმატებას იქამდე ვერ მიაღწევს, სანამ შეკრული გუნდი არ იქნება. შეკრული გუნდი კი

პირინელებს თითქმის არასოდეს ჰყოლიათ, რადგან ბარსელონელი მადრიდელთან ერთად თამაშს ვერ უდებს ბოლომდე გულს და პირიქით. ბასკს დიდად არც ერთი არ ესაუბრება გულზე და ასე შემდეგ.  
 „იქნება ლუის არაგონესი თუ ვინმე სხვა, რაიმე დიდი წარმატების მიღწევა მაინც და-

ლიან გაგვიჭირდება, რადგან გუნდში ერთიანობა არ არის. მე ამას უფრო არეულობას დავარქმევდი და ცალ-ცალკე ბანაკებად დაყოფას. ახლა ხალხი გამოსავალს ფეხბურთელების ან მწვრთნელის შეცვლაში ხედავს. ისინი კარლოს მარჩინას, მიჩელ სალგადოს, ხუანიტოს, რაულის და ჩემ შეცვლას ითხოვენ, არადა, მუნდიალზე ჩვენ დიდი სათანადო დრო არ გვექონია“ — თქვა ალბელდამ, ვისაც ეროვნული ნაკრების მისურა 38-ჯერ მოურვია.

6 სექტემბერს, ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპის მატჩში ჩრდილოეთ ირლანდიასთან სენსაციურად დამარცხებული ესპანელები, 7 ოქტომბერს თაივანთი ჯგუფის ლიდერს, შვედეთს ესტუმრებიან. 68 წლის არაგონესს, რომელიც გასულ კვირაში გადადგომას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა, სკანდინავიელებთან შეხვედრისთვის შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია.  
 დავიდ ალბელდა: „ესპანეთს შეუძლია, ჰყავდეს ბრწყინვალე და წარმატებული ნაკრები, რადგან მასში უმაღლესი კლასის ფეხბურთელები არიან. თუმცა ამ პირობებში და იმ ზეწოლის გათვალისწინებით, რომელიც ნაკრების მიმართ არის, რომელიმე ტურნირის მოგება ძალიან ძველი იქნება. ფეხბურთელებში და ქომაგებში ცუდი განწყობაა. გულშემატკივრებიც და მოთამაშებულებიც ზედმეტ ყურადღებას აქცევენ იმას, თუ ვინ რომელი კლუბიდან არის, რაც ნაკრებთან არაფერ შუაშია და ერთიანობის საშუალებას არ იძლევა.“



## ექსტრემიანი გუნდი

ლა კორუნიის „დეპორტივოს“, რომელმაც სეზონი არცთუ ურიგოდ დაიწყო და პრემიერადივიზიონში ამჟამად მეხუთეა, გვიანის ნაკრების ფორვარდი როდოლოფო ბოლიო დაუშავდა. 28 წლის ფეხბურთელმა მარჯვენა მუხლის მეყსები გაიწყვიტა და ექიმების თქმით, ექვსი თვე ვერ ითამაშებს.  
 „ტკივილისგან ლამის გონება დავკარგე, ეს საშინელება იყო. მივხვდი, რომ სულ ცოტა, ფეხი მქონდა მოტეხილი, მაგრამ არანაკლები (თუ უარესი არა) ტრავმა მიმიღია“ — თქვა „ალავესის“ ყოფილმა თავდამსხმელმა. გავრცელებული ცნობით, ამ ზაფხულს ნაციონალურ ბოლიოში ლაკორუნიელებმა 2 მილიონი ევრო გადაიხადეს. იგი „დეპორის“ ლაზარეთში გუნდის ლიდერ ზუან კარლოს ვალერონს შეუერთდა, რომელმაც მსგავსი ტრავმა ივლისში მიიღო.

კომი განდელაპი

კომი განდელაპი







# ასტონ ვილას მფარველი ანსელი

**ინგლისი**  
ლიგის თასის  
მეორე ეტაპი

**ჩესტერფილდი 2:1 ბანსტაი სიტი**  
**დონკასტერი 3:0 ბრისტოლ სიტი**  
**დონკასტერი 3:0 ბრისტოლ სიტი**  
**დონკასტერი 3:0 ბრისტოლ სიტი**  
**დონკასტერი 3:0 ბრისტოლ სიტი**

ინგლისის ლიგის თასის მეორე ეტაპის მორე სათამაშო დღეს კიდევ უფრო მეტი მოულოდნელობა და სენსაცია მოხდა. მართალია, ოთხშაბათ საღამოს ბევრად უფრო ცოტა მატჩი გაიმართა, ვიდრე სამშაბათს, მაგრამ... ტურნირის ერთბაშად სამი პრემიერლიგელი გამოეთიშა.

პრემიერლიგელი „ჩესტერფილდი-სგან“ „მანჩესტერ სიტის“ ძლიერ დახვეწილი სტილარტ პირის შეგირდები მინდორზე საბრძოლო შემადგენლობით გავიდნენ და თავიდან უპირატესობასაც ფლობდნენ. გოლი აქტიურად მოთამაშე ბერნანდო კორადის თავურს მოჰყვა, რომელიც ძელმა აისხლიტა, მაგრამ ახალგაზრდა ბერძენი ფორვარდი გეორგიოს სამარასი იქვე გაჩნდა და 0:1 მასპინძლებმა ანგარიში „სიტის“ მეკარის ნიკი ვივერის შეცდომის შემდეგ გაათანაბრეს. მან ფილ ბიკენის საჯარიმოდან დარტყმული ვერ შეიმარგა, ხოლო დამატებაზე ყველას კალბე ფოლანმა დაასწრო. გამარჯვებისა ბრწყინვალე გასროლილით დერიკ ნივენმა შეაგდო.

„სიტი“ გასულ ორ სეზონშიც ქვედალიგულ მეტოქეებთან, „ოლდემთან“ და „დონკასტერთან“ მარცხით გამოეთიშა ლიგის თასს. თუმცა ამაზე საგანგაშო ის არის, რომ ეს მანჩესტერელთა მეცამეტე წაგება გახლდათ ბოლო 16 მატჩში, რის გამოც უკვე პირისს გადაყენებაზეც ალაპარაკდნენ.

„ხეწოლის ქვეშე აღმოჩნდი, მა-

გრამ ეს არ მაშინებს. საკმარისად დიდი ვარ, რომ საკუთარ პრობლემებს მივხედო და ვფიქრობ, ვითარების გამოსწორებას შევძლებ“ — თქვა პირსმა.

ლონდონის „ფულემმა“ კი სულაც ისე იყოჩაღა, რომ საკუთარ „კრევენ კოტეჯზე“ წააგო მეორე-ლიგულ „უიკომბთან“. ჯერძინ ისტერმა სტუმრები დააწინაურა. შემდეგ, მანვე პენალტი მოინადირა, რომელიც ტონი მუნიმ გოლად აცქია. მეორე ნახევარში კრის კოულმენის შეგირდები ცოტა გამოფხიზლდნენ და დებიუტში ერთი ბურთი გაქვითეს. ეს ეიდურ ჰელგუსონმა, რომელსაც რამდენიმე მომენტი იქამდეც ჰქონდა, თავური დარტყმით მოახერხა. მეორე ტომას რაძინსკიმ ძელს გაარტყა, ხოლო ბიორ რანსტორმა ცარიელ კარს ვერ დაუმიზნა და საბოლოოდ გამარჯვება პოლ ლამბერტის გუნდს დარჩა.

კრის კოულმენი: „სათანადო ფორმაში არ ვართ და ეს უნდა გამოვასწოროთ. პირველი ტაიმი პირვინდად ჩავგადეთ. მეორეში უკეთ გამოვიყურებოდით და გოლის გარდა რამდენიმე მომენტიც გვქონდა. თუმცა მეტოქემ თამაში ჩავიკეტა და, სამწუხაროდ, გათანაბრება ვეღარ შევძელით“.

„მიდლსბრო“ პრემიერლიგის მესამე წარმომადგენელია, რომელიც ოთხშაბათ საღამოს ლიგის თასიდან დაიფრინეს. გარეთ საუთგეიტის ბიჭები საკუთარ „რივერსაიდზე“ მეორელიგულმა „ნოტსმა“ წააქცია. სტუმრებმა მატჩის ერთადერთი გოლი 26-ე წუთზე გაიტანეს, როდესაც ტონი მაკმაჰონის შეცდომა ტრამ ნტომი გამოიყენა. ამის შემდეგ „ბორო“ საგრძნობ უპირატესობს ფლობდა, ეს განსაკუთრებით მეორე ტაიმში გამოიკვეთა, მაგრამ „ნოტსმა“ თავდადებული თამაშითა და ცოტა ილბლის დახმარებით კარის მშრალად შენახვა შეძლო.

„ამ მარცხზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ. რამდენიმე წამყვანი მოთამაშე არ დავაყენე ძირითადში, მაგრამ მეტოქის დამარცხება ამ შემადგენლობასაც შეეძლო. ერთი შეცდომის გამო დავისაჯეთ. 75-ე წუთამდე თვითდაჯერებაც გვაკლდა. ბოლოს კი „ნოტსი“ დავბომბეთ, მაგრამ არ გავვიმართლა. თასზე წარმატებით თამაში მინდოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ტურნირის გამოვეთიეთ, რაც ძალიან საწყენია“ — აღნიშნა საუთგეიტმა.

პრემიერლიგის კიდევ ერთმა ბინადარმა „ასტონ ვილამ“ თავი არ შეირცხვინა და პირველილიგულ „სკანთორპს“ გასვლაზე მოუგო. პირველი ტაიმის მიწურულს ბირმინგემელთა კოლუმბიელ ფორვარდს ზუან პაბლო ანხელს პენალტი მასპინძელთა მეკარემ ჯო მერფიმ აუღო, მაგრამ ანხელმა დამატებაზე ივარგა. მან მეორე ტაიმში ერთიც შეაგდო და მარტინ ონილის შეგირდებს თავი აღარც მოუკლავთ, თუმცა ბოლო 15-20 წუთი სტუმრებს ნერვიულობა მაინც მოუხდათ, რადგან 73-ე წუთზე ბილი შარპმა ერთი ბურთი გაქვითა.

პრემიერლიგელმა „დონკასტერმა“ და ჩემპიონატის ბინადარმა „დერბიმ“ კი ნამდვილი შოუ გამართეს. დონკასტერელები 74-ე წუთამდე 3:0-ს იგებდნენ, მაგრამ ბოლო 16 წუთში სტუმრებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. თანაც მესამე გოლი მეცვლაზე შესულმა ახალგაზრდა იტალიელმა არტურო ლუპლიმ ბოლო წუთზე შეაგდო. მიუხედავად ამისა, „დონკასტერი“ არ გატყდა და პენალტებში გამარჯვება მაინც შეძლო. „დერბიმ“ კი დამატებითი დროის 25 წუთი 10 კაცით ჩაამთავრა, რადგან ლუპლიმ წითელი ბარათი მიიღო.

პრემიერლიგელმა „დონკასტერმა“ და ჩემპიონატის ბინადარმა „დერბიმ“ კი ნამდვილი შოუ გამართეს. დონკასტერელები 74-ე წუთამდე 3:0-ს იგებდნენ, მაგრამ ბოლო 16 წუთში სტუმრებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. თანაც მესამე გოლი მეცვლაზე შესულმა ახალგაზრდა იტალიელმა არტურო ლუპლიმ ბოლო წუთზე შეაგდო. მიუხედავად ამისა, „დონკასტერი“ არ გატყდა და პენალტებში გამარჯვება მაინც შეძლო. „დერბიმ“ კი დამატებითი დროის 25 წუთი 10 კაცით ჩაამთავრა, რადგან ლუპლიმ წითელი ბარათი მიიღო.

## გიორგი ბაბაბაძე



ანხელმა დუბლი შეასრულა



სტიუარტ პირსი შეიძლება მოხსნან



ვილანსიენი — მონაკო. მასპინძელი საესი და სტუმარი მენესი

მეორე ეტაპი გიორგი ბაბაბაძე

# დედაბიუ ნანსიუ

**საფრანგეთი**  
ლიგის თასის  
მეორე ეტაპი

**ნანსი 1:0 ნიონ**  
**პრეზი 1:4 ლანსი**  
**ონარი 2:0 სტრასბური**  
**მონელი 1:2 მარსელი**  
**პს 3:1 ლორიანი**  
**სედანი 0:1 სოშო**  
**რენი 2:1 ლიგურნი**  
**სატი 1:4 სენტ ეტიენი**  
**ტრუა 1:2 ლე მანი**  
**ვალანსიენი 0:0(პენ.4:5) მონაკო**

**სენსაციების** მოყვარულ საფრანგეთის ლიგის თასზე ამჯერად მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ფაქტობრივად ყველა მატჩში ფავორიტმა იმარჯვა და მესამე ეტაპის საგზური მოიპოვა.

წინა სეზონში ლიგის თასის ფინალში „ნიკამ“ და „ნანსი“ ითამაშეს. ამჯერად ეს კლუბები ერთმანეთს მეორე ეტაპზე გადაყარნენ და გამარჯვება ისევ ნანსიებს დარჩათ. ერთადერთი გოლი გასტონ კურბელომ 25-ე წუთზე შეაგდო. „ნიცა“, რომელმაც სეზონი ცუდად დაიწყო და ჩემპიონატში ბოლო ადგილზეა, ბერს კი ცდილობდა, მაგრამ „ნანსის“ კარს გასადები ვერაფრით მოარგო.

**უგულები**

ალსპენსკა XIX ტური

ბაის 1:1 პალმსტადი  
პეპენი 1:4 ელფსაორგი  
პელინგაორგი 2:0 ბეფლე  
იურგორდენი 0:1 აიპ

აიკ	19	11	6	2	35:17	39
ელფსბორგი	19	9	9	1	35:17	36
გიორტებორგი	18	8	6	4	30:19	30
იურგორდენი	19	8	6	5	22:16	30
პამარბი	18	9	3	6	29:25	30
კალმარი	18	9	2	7	26:19	29
პელსინგბორგი	19	7	7	5	29:23	28
მალშიო	18	8	4	6	30:25	28
ბეფლე	19	6	5	8	19:28	23
გაის	19	5	7	7	20:25	22
პალმსტადი	19	4	8	7	15:23	20
იორგარტი	18	3	5	10	19:31	14
ჰეკენი	19	2	6	11	19:36	12
ოსტერსი	18	2	4	12	12:36	10

**საფ**  
MLS. XXVIII ტური  
60უ იორკი 0:2 60უ ინგლანდი

მესამე დივიზიონის ბინადარმა „სეტემ“ მე-10 წუთზე გაუტანა „სენტ ეტიენს“, მაგრამ მასპინძლებს სინარული დიდხანს არ დასცალდათ. საბოლოოდ გომისისა და ბილომის ორ-ორი გოლით „ეტიენმა“ 4:1 მოიგო. იგივე სცენარით წარმართა მატჩი კრეტეში, სადაც „ლანსი“ მე-14 წუთზე 0:1-ს აგებდა, მაგრამ 4:1 მოიგო.

პს-მ ქომაგები ისევ ანერვიულა. პარიზელებმა საკუთარ კედლებში პირველი ტაიმი „ლორიანი“ წააგეს, თუმცა მეორეში გამოფხიზლდნენ და სამი უპასუხო გოლი შეაგდეს. პედრო პაულეტამ დუბლი შეასრულა, ხოლო მესამე პანკრატმა შეაგდო.

ტრუაში მეტოქეებმა თითო გოლი დებიუტშივე გაცვალეს და როცა ყველა უკვე დამატებითი დროის მოლოდინში იყო, „ლე მანმა“ გამარჯვებისა გაიტანა. ეს რომარიკმა გააკეთა.

„ვალანსიენი“ და „მონაკო“ 120 წუთი ეჭვიდან ერთმანეთს, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. გამარჯვებული პენალტების სერიაში გამოვლინდა, სადაც მონაკოელებს უფრო გაუმართლათ.

## გიორგი ბაბაბაძე

**ფინეთი**

ვეიკუსლიგა  
გადაღებული მატჩი

ინტერი 1:0 მიუპა

ტამპერე	19	13	2	4	30:15	41
პიკ	19	10	5	4	33:13	35
პონკა	19	11	2	6	43:25	35
პაიკ	19	10	5	4	27:17	35
ტურკუ	20	9	3	8	32:26	30
მიუპა	19	8	4	7	20:18	28
მარიეჰამნი	20	7	6	7	24:21	27
ლაპტი	19	7	4	8	19:22	25
ვასა	20	6	4	10	21:31	22
ინტერი	19	5	6	8	16:28	21
კტპ	20	6	3	11	19:39	21
იარო	19	4	5	10	25:31	17
კუოპიო	20	4	3	13	13:36	15

**ბრაზილია**  
სერი A. XXV ტური

გრემიო — პონტე პრეტა 4:0; ბოტაფოგო — უვენტურდუ 2:1; ფიგოერესე — ინტერნასიონალი 1:0; პარანა — ფორტალეზა 2:0; გოიასი — ატლ. პარანენსე 2:2; კორინთიანსი — ვესუდუ 1:0; მანსეუ — ფლუმინენსე 1:1; სანკაეტანო — სან პაულუ 0:1; ფლამენგო — კრუსეირუ და სანტა კრუსი — პალმეირასი ნუსელ გვიან დამთავრდა





Table with columns for time, ID, title, and columns 1, X, 2, 1-X, 1-2, X-2. Includes sub-sections like 24 სექტემბერი, 23 სექტემბერი, 24 სექტემბერი, 25 სექტემბერი, 24 სექტემბერი, 24 სექტემბერი, 24 სექტემბერი, 22 სექტემბერი.

Table with columns for time, ID, title, and columns 1, X, 2, 1-X, 1-2, X-2. Includes sub-sections like 23 სექტემბერი, 22 სექტემბერი, 22 სექტემბერი, 22 სექტემბერი, 22 სექტემბერი, 22 სექტემბერი, 22 სექტემბერი, 22 სექტემბერი, 22 სექტემბერი, 22 სექტემბერი, 22 სექტემბერი, 22 სექტემბერი, 22 სექტემბერი, 22 სექტემბერი.

I ტაივის შედეგი

Table with columns for ID, title, and columns 1, X, 2, 1-X, 1-2, X-2. Lists various titles and their corresponding values across the six columns.

I ტაიმი/პირითაღი ღრუ

Table with columns for ID, title, and columns 1/1, 1/X, 1/2, X/1, X/X, X/2, 2/1, 2/X, 2/2. Lists various titles and their corresponding values across the nine columns.



# ქართული უპილოტი სვლითა და დახმებით მსოფლიო მსოფლიოსთვის მოსამზადებლად

30 სექტემბრიდან 7 ოქტომბრამდე იტალიაში მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას. ესაა მეორე შემთხვევა, როცა ქართველები მსოფლიოს უმთავრეს ტურნირზე გუნდურად გამოვლენ, თორემ მანამდე თითო-ორი მოფარიკავე თუ მიდიოდა ხოლმე მსოფლიოს პირველობაზე. ახლა იტალიაში 7 ქართველი მიდის — 4 ხმლის, 3 კი დაშნის სახეობაში. მსოფლიოს ჩემპიონატს არ ეხება, მაგრამ როცა ფარიკაობის ფედერაციის გენერალურ მდივან მორის სახვაძეს შევეხმიანეთ, სტამბოლურ ტურნირზე ქართველთა ნარმატების შესახებაც გვამცნო

— თურქეთიდან 2 დღის წინ დავბრუნდით, სადაც საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. შეჯიბრში 7 ქვეყანა მონაწილეობდა — ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი, სომხეთი, ირანი, აზერბაიჯანი და საქართველო. ჩვენ სტამბოლში ყველა სახეობაში თითო სპორტსმენი წავიყვანეთ და ამთავან სამი მედალს შესწვდა. ნატო კობიაშვილმა რაპირაში მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო ქეთევან სილაგაძემ დაშნაში და დავით თვარელმა ხმალში ბრინჯაოს მედალები მოიპოვეს.  
— შედეგით კმაყოფილი დარჩით?  
— რა თქმა უნდა. საქართველო ფარიკაობაში წამყვან ქვეყნებს ვერ დაეტოვება და თითოეული მოგებელი მედალი ჩვენთვის საკმაოდ ძვირფასია.  
— თანაც მოფარიკავეებმა მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გამოცდილება და თავდაჯერება შეიძინეს.

— ვინც სტამბოლში იყო, ისინი მსოფლიოს ჩემპიონატზე არ მოდიან. ჩვენ გაცილებით ძლიერი მოფარიკავეებიც გვყავს და იტალიაშიც ისინი მიგვეყვანს.  
— იტალიაში ფარიკაობის უფლება საკვალიფიკაციო ტურნირზე მოიპოვეთ?  
— შერჩევა არ მომხდარა. მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობის მისაღებად მხოლოდ სურვილიც საკმარისია. საერთაშორისო ფედერაციამ 120 ქვეყანა გაწვევრიანებული. მათგან მსოფლიოს ჩემპიონატებზე 70-80 მონაწილეობს ხოლმე.  
— გუნდის დაკომპლექტების მხრივ რა შეზღუდვებია დაწესებული?  
— თითო სახეობაში 4-4 მონაწილით გამოვსვლაა ნებადართული. ანუ ჩვენ ქალთა

და კაცთა სახეობებში მთლიანობაში 24 სპორტსმენის წევრია შეგვეძლო, მაგრამ მხოლოდ 7-ზე შევარჩიეთ არჩევანი. ამის მიზეზი პირველ რიგში ჩვენი სპორტსმენების კლასია. თანაც ფინანსური მომენტაცაა გასათვალისწინებელი. ისეთი მოფარიკავეები, სერიოზულ საერთაშორისო ტურნირზე თამაშად რომ გაიყვან, მხოლოდ ხმალსა და დაშნაში გვყავს — ისიც კაცები. თავს ვერც ამთხე დავლებთ, ეგაა და იტალიიდან მედალს ჩამოიტანენო, მაგრამ სხვებთან შედარებით მოწოდების სიმძლავრე დგანან. იტალიაში 4 ხმლით, ოთხივე დაშნით მოფარიკავე უნდა წავიყვანა, მაგრამ ერთ-ერთი დაშნით მოფარიკავე ტრავმამ შეაწუხა.  
— როგორ ემზადებით და რა იმედით მიდიხართ მსოფლიოს ჩემპიონატზე?  
— აქედანვე ვიცი, რომ იტალიაში მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მივაღწევთ, თუმცა ჩვენთვის ამ ეტაპზე მთავარი გამოცდილების შეძენაა. მალე იქნება მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება, საიტალიო შემადგენლობაში კი ძირითადად 20-წლამდელები გვყავს, რომლებიც კარგ პრაქტიკას შეიძენენ მსოფლიოს ჩემპიონატზე. ამჟამად სპორტის დეპარტამენტის გამოყოფილ დარბაზში ვვარჯიშობთ, ჩვენი სარბიელი დაანგრიეს და 2 წელიწადში საერთაშორისო სტანდარტების დარბაზი გვექნება.

ინაკლი პერტანი



## ფორმულა მუქდება ლუის ჰემილტონის სამეფო რბოლების ხარი შაბლო



ჩინეთის საპირველქტობრო დიდი პრიზის წინ მეფორმულეები მორეო ვარჯიშს შეუდგნენ.

ინგლისში, სილვერსტონის ლეგენდარულ ტრასაზე ისტორიული ამბავი მოხდა — „მაკლარენის“ ტესტებზე დებიუტი ჰქონდა „მატარა“ ფორმულის „გრან-პრი 2“-ის წლევანდელ ჩემპიონ ლუის ჰემილტონს. მისი გვარ-სახელი ჯერჯერობით ბევრს არაფერს უბნება „სამეფო რბოლების“ გულშემატკივრებს ერთი უჩვეულო ფაქტის გარდა — 21 წლის ინგლისელი ფორმულა 1-ის პირველი შავკანიანი პილოტია.

ლუისმა 62-ჯერ შემოუქროლა ხუთცილომეტრიან წრეს და 12 მილიონს შორის მეექვსე დრო აჩვენა. საუკეთესო შედეგი „რენოს“ მტეტესტზე ნელსინიო პიკეს ჰქონდა, ხოლო ჰემილტონი ესპანელ თანაგუნდელ პედრო დე ლა როსას თითქმის წამით ჩამორჩა.

„კმაყოფილი ვარ, რომ კარგად ჩაიარა „მაკლარენ-მერსედესში“ ჩემმა პირველმა სატესტო დღემ. მთავარი ყურადღება მანქანასთან გაცნობა-შეჩვევისკენ იყო მიმართული, ამდენად, მაქსიმალური შედეგის მიღწევას ძალიან არ ვცდილობდი, რადგან ვიცი, რომ ამ ვარჯიშების მიხედვით არავითარი გადაწყვეტილება არ მიიღება, თუნდაც ვთქვათ, ხვალ პედროზე სწრაფიც რომ ვიყო. გუნდმა შანსი მოძცა, ეს დეკუსტაციის მაგვარია — ჯერ უნდა გაეცნო, მერე კი წინსვლისთვის იბრძოლო.“

ბრიტანული პრესა ნიჭიერ მრბოლს დიდი მომავალს უწინასწარმეტყველებს, შესაძლოა, უკვე გაისად, „მაკლარენში“ თვით ფერნანდო ალონსოს მეწყვილე გახდესო.

ლუის ჰემილტონი წარმოშობით „აფროკარიბელია“. მისი ბაბუა კუნძულ გრენადიდან ჩავიდა ინგლისში და იქ დაფუძნდა. ლუისის მამამ, ენტონიმ ინგლისელი ცოლი მოიყვანა, რომელთანაც ორი ვაჟი შეეძინა. მომავალ მრბოლს მშობლებმა სახელი ლეგენდარული ამერიკელი მძღველის კარლ ლუისის პატივსაცემად დაარქვეს.

პატარა ლუისმა, ბუნებრივია, ჯირითი კარტინით დაიწყო — 2000 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა, ხოლო შემდეგ ფორმულა „რენოს“ ავტოსერიაში ბრიტანეთის ჩემპიონობა მოიპოვა, შარშან ყველას აჯობა ფორმულა 3-ის ევროპირველობაზე, ერთი თვის წინ კი დამაჯერებლად მოიგო GP2-ის პრესტიჟული ჩემპიონატი.

გია ახალაძე

### სუმი

# ადმოსავლური დარტყმა იოკოჰუნა ამას ზამოდან მოეძცა

ტოპიოს „კოკუეკანში“ მიმდინარე ბაშოს დასრულებამდე სამი დღით ადრე კოკის ერთქულიანი დაღებით ბალანსი გაუნულდა. დასავლეთის კომუსუბად წოდებული ქართველი ადმოსავლელ კომუსუბის კისენოსატოს დაეჭიდა და ვერას გახდა. თანაბარწოდებიანთა ბრძოლას დატვირთვას სატურნირო მდგომარეობაც მატებდა. ორივეს ექვს-ექვსი ქულა ჰქონდა. ახლა კი წინ სპეციალისტების მიერ იშვიათ ტალანტად მონათლული 20 წლის კისენოსატოა.

დაღებითი ბალანსის — კატკოსის — შესასრულებლად და კომუსუბის წოდების შესანარჩუნებლად ლევან ცაგურიას დარჩენილ სამ შეხვედრაში ორი ქულის აღება სჭირდება. დღეს მისი მეტოქე ექსკომუსები ფუტენო იქნება.

„იმპერატორის თასისთვის“ ბრძოლას კი ხუთი დეკაკი აგრძელებს: იოკოჰუნა ასასიორუ, ადმოსავლეთის მეექვსე მაეგაშირა ამა, დასავლეთის პირველი და მესამე მაეგაშირები როხო და ამინისიკი და ადმოსავლეთის მეცამეტე მაეგაშირა ხოკუტორიკი. გუმინდლამდე ამთავან საუკეთესო შანსი ასასიორუს და ამას ჰქონდათ, მაგრამ ლიდერთა დუეტი დაიშალა. ოცდამეერთე საუკუნის პირველ და ერთადერთ იოკოჰუნას კონკურენტი ოძეკი ხაკუხომ შეაჩერა. თავად „ცისფერმა დრაკონმა“ რის ვაი-ვაგლახით აჯობა ოძეკი ტოჩიაძემას. ასასიორუს მოსაგებად ორი მძლავრი შეტევა დასჭირდა.

სუმოს საზომებით მსუბუქწონიან ამას ხაკუხომ სწორედ წონით და უკეთესი ფიზიკური მომზადებით აჯობა — 115-კილოგრამიანი კაცი ხელში ბავშვივით აიყვანა და ხალიჩის გარეთ დასვა. დღეს ამა ბალკანელ გულივერად წოდებულ ორმეტრიან კოტო-ოსიუს უნდა დასჭიდებოდა, მაგრამ სუმოს თავკაცებმა წინასწარი კალენდარი შეცვალეს და ბულგარელის ადგილზე ასასიორუ ჩაწერეს. წლეულს ეს წყვილი ერთმანეთს



იოკოჰუნა ასასიორუმ ტოჩიაძემაც დასცა

ხუთჯერ გადაჰყრია და ოთხჯერ იოკოჰუნას უმარჯვია. ამამ კი იანერის ბაშოზე იყო ჩაღა.

აქვე ერთი ცინცხალი ამბავიც. სუმოს ასოციაციის პრეზიდენტმა ოიაკატა კიტანოუმიმ განაცხადა, რომ ოძეკი ხაკუხომ იოკო-

ტუნობის კანდიდატი ნოემბრის ბაშოზეც იქნება, ოღონდ საამისოდ დარჩენილ სამ ტურში ქულა აღარ უნდა დაკარგოს. დღეს მონღოლი ოძეკი იგივე ტიტულოსან ტიოტაკის ეჭიდავება.

ოთარ გალგაქიძე

იან ჰომერის თასი ჰარდი. საპრიზო 10 000 \$



მეორე ნომრად განთესილი სტელა მენა (მარცხნივ) სოფო შაფათავამ დაამარცხა



დავისის თასი 2006 მსოფლიო ლიგა. ნახევარფინალი. 22-24 სექტემბერი

თაბაში თისაზე კბელი პალებით

დაძვრე უძველესი მოსკოვსა და ბუენოს-აირესში დევისის თასის ფინალში გასავლელად ერთმანეთს ოთხი საუკეთესო ნაკრები დაეტაკება. შარშანდელისგან განსხვავებით, წლეულს მოულოდნელი არაფერი მომხდარა და ოთხივე ნახევარფინალისტი საჩოგბურთო მოდის კანონმდებელია.

განსაკუთრებულ ყურადღებას რუსეთის დედაქალაქში გასამართი შეხვედრა იქცევს, სადაც მასპინძლები ამერიკელებთან ვარკვევენ ურთიერთობას. თერთმეტწლიანი შესვენების შემდეგ იანკებს პირველად მოუწევთ მოსკოვში სტუმრობა. მაშინ, 1995-ში კი სტუმრებმა პიტ სამპრასის გენიალური თამაშისა და თავდადების ხარჯზე მიღწევის წარმატებას — დიადმა პიტმა ერთეულთა ორივე შეხვედრა მოიგო და ტოდ მარტინთან ერთად წყვილშიც იმარჯვა.

თუმც ამერიკელები ახლა ვინმეს გმირობის იმედს ვეღარ იქნებიან და გუნდური სულისკვეთებით მოუწევთ ფონს გასვლა. შემადგენლობა იანკებს სერიოზული ჰყავთ — ენდი როდიკი და ჯეიმს ბლეიკი, პლუს მსოფლიოს საუკეთესო წყვილი ტყუპი ძმების ბობ და მაიკ ბრაიანების შემადგენლობით.

ერთი ეგაა, რომ მასპინძლის მიერ სათამაშო საფარის არჩევის უფლება აქ ალბათ გადაწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდება. რუსებმა ხომ თინხარზე თამაში არჩიეს. ამერიკელთაგან კი გრუნტზე კარგი შედეგებით ვერაინ დაიკვეხნის. ამიტომაც ჯერ კიდევ ორი თვის წინ, როცა გაირკვა, რომ მოსკოვში მოუწევდათ თამაში, როდემო თქვა: „იმედია, რუსები სათამაშოდ გრუნტს არ არჩევენ. მართალია, ჩვენ ამ საფარზე ვერ ვთამაშობთ, მაგრამ, მგონი, თინხარზე ჩოგნის ქნევა არც მათ გამოსდით კარგად“.

აბა, ამით ვის მოუტყუებდა ენდობი. მით უმეტეს, რუსთა გამოცდილ კაპიტან შამილ ტარპიშჩევს, რომელსაც ყველაზე კარგად მოეხსენება, რომ გრუნტი მიხაილ იუფინისა და ნიკოლაი დავიდენკოსთვის უსაყვარლესი საფარია და არც მარატ საფინია აქ ჯაბანი. ერთადერთი დიტირ ტურსუნოვია, ვინაც თინხარს ვერ ეგუება, მაგრამ მასპინძლები ამას როგორმე გადაიტანენ.

ტარპიშჩევის ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ მას ვერაფრით გადაეწყვიტა ნაკრების პირველი ნომრის დასახელება. ერთი-ორი წლის წინ საფინი იყო ნაკრების უდავო ლიდერი, მაგრამ წლეულს ვეგანტი რუსი ვერ არის თავის იმტაზე. ამიტომაც მარატის ადგილს წლის უკანსკელ სლემტურნირზე



ლეიტონ ჰიუიტი და მარკ ფილიპუსისი არგენტინაში ძველი ვალეების ასაღებად ჩავიდნენ

დიდებულად ნათამაშევი მიხაილ იუფინი დაიკავებს.

თვითონ იუფინის კი რევანში სწყურია — მან ხომ ნიუ იორკის ნახევარფინალში როდიკთან წააგო, ახლა კი გათამაშებული მოსკოველი დიდ გულზეა:

„მაშინ მის ტერიტორიაზე ვთამაშობდი, ვნახოთ, აქ რა გამოუვა. გრუნტზე ხომ მისი მოწოდება არც ისე საშიშია. ამიტომ მას აქ მასტერკლასს ჩავუტარებ“ — ასე ბაქიბუქობს იუფინი, რომელსაც თავისი დანაპირების ასრულების საშუალება კვირას მიეცემა.

ამერიკელებმა კი უკვე უკმაყოფილება გამოთქვეს „ოლიმპიისკის“ კორტებით — უთანასწორო არისო. თუმც ეს ხავსზე მოჭიდებას უფრო ჰგავდა. ასე რომ, აგრძელებულ მოსკოვში იანკებს ძალიან ცხელი სამი დღე ელით.

მეორე ნახევარფინალში კი არგენტინელები ავსტრალიელებს უმასპინძლებენ და აქაც ალბათ მასპინძელთა არჩევანი, თან აქაც გრუნტი, შეიძლება ასევე გადაწყვეტი აღმოჩნდეს.

პატაგონიელებს ოხებთან ისედაც ყოველთვის კარგად გამოსდიოდათ თამაში — ჯერ იყო და 2002 წელს მსოფლიოს ჯგუფის პირველ რაუნდში 5:0 გადაუარეს, შარშან კი მეოთხედფინალში სულაც სიდნეიში, თან ბალახზე 4:1 დასცეს მეტოქე. ამიტომაც მშობლიურ თინხარზე დავიდ ნალბანდიანის, ხოსე იგნასიო ჩელას, ხოსე აკასუსოსა და აგუსტინ კალერის ოთხეული ავსტრალიელთა კიდევ ერთხელ გასამცატვერებლად ილესავს კბილებს.

არგენტინელებს მხოლოდ ის თუ აქვთ გულში ხინჯად, რომ ნახევარფინალური სტადია უკვე იმ საჯილდაო ქვად ექცათ, რომელსაც ვერაფრით მორევან. ნალბანდიანი და კომპანია უკანასკნელ ხუთ წე-

ლიწადში მეოთხედ მოხვდა საუკეთესო ოთხეულში, მაგრამ ფინალამდე მაინც ვერაფრით მივიდა. ამ „წყევლის“ მოხსნა არგენტინელებმა იქნებ მშობლიური ტრიბუნების დახმარებით შეძლონ.

აი, ავსტრალიელებს, უფრო კი მათ კაპიტან ჯონ ფიცჯერალდს თავზე საყრელად ჰქონდა პრობლემები. ჯერ ერთი, შემადგენლობის დაკომპლექტება ექცა პრობლემად. ამის გამო ფიცჯერალდს ნაკრებში ლამის ორი წლის უთამაშებელი და ტრავმის შემდეგ მხოლოდ რამდენიმე თვის წინ ჩოგბურთში მობრუნებული მარკ ფილიპუსისის დაბრუნება მოუხდა.

მერე კი ოხთა ლიდერმა, ლეიტონ ჰიუიტმა აიქნა, არგენტინაში უსაფრთხოების გარანტიას ვერაინ მაძღვეს და ამიტომ იქ ჩემი ფეხი არ იქნებაო. ჰიუიტი დიდხანს უარზე იდგა, მაგრამ ფიცჯერალდმა მაინც დაითანხმა ბუენოს-აირესში გამეზავრებაზე, თუმც ამისთვის ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციას ლეიტონისთვის ორი მცველის დაქირავება დასჭირდა.

საოცარია, მაგრამ ჰიუიტმა ესეც არ იკმარა და ახლა, არგენტინის შესაბამის ორგანოებთან მოლაპარაკების შედეგად, ოხთა ლიდერს პოლიციის მანქანა გამოუყვეს, რომელიც მას სასტუმროდან კორტებამდე მიაცილებს ხოლმე.

ამდენი ხათაბალის მიუხედავად, ფიცჯერალდი მაინც საბრძოლველად არის განწყობილი:

„ვითომ რატომ არ შეიძლება არგენტინელების დამარცხება? მერე რა, რომ თინხარზე ვითამაშებთ — შარშან მათ ჩვენი ბალახზე დამარცხებით დაამტკიცეს, რომ საფარს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ბრძოლა ნებისმიერ სიტუაციაში შეიძლება“.

კახს ლომავილი

მენას პარსკვლავი სოფო ჩააქრო

აიოთხეფონალი  
ანა ლაპუშინკოვა (1, რუსეთი) — ვასილისა დავიდოვა (5, რუსეთი) 6:2 7:5; ალმისანდრა მალიარჩიკოვა (ბელარუსი) — აგნეს ჟატიმარი (4, რუმინეთი) 7:5 6:4; ანდრეას რახნიტი (ყაზახეთი) — ვარვარა გალანინა (რუსეთი) 6:1 6:3; სოფო შაფათავა (საქართველო) — სტელა მენა (2, იტალია) 6:2 6:2

ახლაც უდაკარგოა. უფრო მეტიც, სოფოსთვის მოწინააღმდეგეს სამ გეიმზე მეტი არც ერთი შეხვედრის არც ერთ სეტში არ აუღია.

გუშინ ჩვენებური ძლიერ მეტოქეს ისე ეთამაშა, უმცირესი შანსიც არ დაუტოვა. ორივე სეტი ერთნაირი ანგარიშით — 6:2 დასრულდა.

ნახევარფინალში სოფო ყაზახ ანა რახნიტს დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა „ბორჯომის თასის“ მომგებ რუსს, ვარვარა გალანინას აულო რევანში ერთი კვირის წინანდელი ნახევარფინალის გამო.

ბადის მეორე მხარეს ფინალში გასასვლელად რუსულ-ბელარუსული რკენა შედგება. ტურნირის პირველი ნომერი ანა ლაპუშინკოვა განთესილი რუმინელის, აგნეს ჟატიმარის მძლეველ ალექსანდრა მალიარჩიკოვას მოუღერებს ჩოგანს. ნახევარფინალები დიდმის კორტებზე დღეს, დილის 12 საათიდან დაიწყება.

ოთარ მალაქალიძე

მამა სლოვაკმა შეაჩერა

19 წლის სლოვაკი იარმილა გაილოშოვა გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა მამა ჩახნაშვილისთვის. საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ქალმა სლოვენურ პოსტორაცში მიმდ.წარე 145 ათასი დოლარი საპრიზო ფონდის მქონე ტურნირის პირველ წრეში ჩეხ ლუსი პრადეცკას კი სძლია და WTA-ტურის ეგიდით კარიერაში პირველი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ამ ეტაპზე მეტი ვეღარ შეძლო.


კლასიფიკაციის 65-ე საფეხურზე მდგომმა გაილოშოვამ 153-ე პოზიციაზე მყოფ ჩახნაშვილს 6:2 6:4 მოუგო. პირველ სეტში სლოვაკმა მალევე გააკეთა ბრეიკი, შემდეგ მეორე მოწოდებაც აართვა მამას და იოლად იმარჯვა. მეორე სეტი თანაბრად დაიწყო — პირველი ოთხი გეიმი მეტოქეები საკუთარ

მოწოდებებს არ თმობდნენ, მაგრამ 2:2-ზე გაილოშოვამ მორიგი ბრეიკი გააკეთა და მეშვიდე გეიმში ერთხელაც აიღო მოწინააღმდეგის მოწოდება. თითქოს პირველი სეტის ანგარიში უნდა განმეორებულიყო, მაგრამ ჩახნაშვილმა ბოლომდე იბრძოლა, მერე გეიმში თავად გააწოდებაც აიღო, ანგარიშში ჩამორჩენა 4:5-მდე შეამცირა, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო.

ამ მარცხის მიუხედავად მამას დებიუტი WTA-ტურის შეჯიბრზე წარმატებულად უნდა შეფასდეს. რაც მთავარია, პოსტორაცში მოპოვებული 12 სარეიტინგო ქულით ჩახნაშვილი კლასიფიკაციის წინ წაიწევეს რეიტინგში, სავარაუდოდ 150-ეულში შევა და იმედია, წინსვლას არც მომავალში შეწყვეტს.

Table with tennis match results for the first round, including player names, nationalities, and scores.

Table with tennis match results for the first round, including player names, nationalities, and scores.



# ერთი მსოფლიო, ერთი ჩემპიონი

## ილუაჩინოვამ სამოგლობოვი ჯადოქრები დავაბიჭა

21 სექტემბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით ყალმუხეთის დედაქალაქი ელისტა ვესელენ ტოპალოვისა და ვლადიმერ კრამნიკის მატჩის უმასპინძლებს. წესითა და რიგით, ამ შეხვედრამ კარგა ხნის წინ გახლეჩილი საჭადრაკო სამყარო უნდა გააერთიანოს.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად მსოფლიოს ჩემპიონობას ორი დიდოსტატი იჩემებს. ბულგარელი ტოპალოვი ფიდეს ვერსიით პირველობს, რუსი კრამნიკი — კლასიკურით. საჭადრაკო სამყაროს გაერთიანება ფიდეს მესვეურებმა ჯერ კიდევ 2002 წელს გადაწყვიტეს, თუმცა ეს საქმე საკმაოდ გაეწვლათ და საშველი ახლა, ოთხი წლის შემდეგ დაადგათ.

თამაშებისთვის ორივე დიდოსტატი სათანადოდ მოემზადა, განსაკუთრებით კი ტოპალოვი გამოირჩა. ბულგარეთის მთავრობამ ჩემპიონს მოსამზადებლად 50 ათასი ევრო გამოუყო და ელისტაში 10 კაციანი დელეგაციით უშვებ, მათ შორის კი ერთი ბელარუსი ექსტრასენსია. კრამნიკს ტოპალოვის ექსტრასენსთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია, ხოლო ფიდესა და ყალმუხეთის პრეზიდენტმა კირსან ილუმჩინოვმა ბევრი ოცინა და ირონიულადაც განაცხადა: „კი, ბატონო,

ჩამოიყვანოს ტოპალოვმა ექსტრასენსი და თუ გჭირდებათ, ჯადოქრებიც მოაყოლოს, ელისტაში ყველა სტუმრისთვის კარი ღიაა“

ტოპალოვს დახმარებას ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი ალექსანდრ ონიშჩუკი და ესპანეთის მრავალჯერ პირველობანი ფრანსისკო ვალეზოც გაუწევენ. ორივე დიდოსტატი უკვე ელისტაშია.

გულხელდაკრეფილი არც კრამნიკი იყო და ისიც საგულდაგულოდ მოემზადა. რუსმა დიდოსტატმა მთელ რიგ ტურნირებში ითამაშა, საკმაოდ კარგი შედეგები აჩვენა და გულშემატკივრებს საინტერესო ბრძოლებს ჰპირდება.

კრამნიკი იმედოვნებს, რომ 2000 წელს ნაჩვენებ შედეგს გაიმეორებს. მაშინ ვლადიმირმა ლონდონში პლანეტის მე-13 ჩემპიონ გარი კასპაროვს მოუგო და პირველობაც ჩამოართვა.

ურთიერთშეხვედრებში რუსი ჯაბნის კონკურენტს. 44 შეხვედრიდან მან 10 მოიგო, ხუთი წააგო, დანარჩენი კი ყაიბით დაასრულა.

მიუხედავად ამისა, სპეციალისტების აზრით, ფავორიტი მაინც ტოპალოვია, რადგან ბულგარელი დიდოსტატი ფიდეს რეიტინგში



ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილუმჩინოვმა ვესელენ ტოპალოვი (მარცხნივ) და ვლადიმერ კრამნიკი აქეთიქით ამოიყვანა

2813 ქულით პირველობს და მეოთხეზე მყოფ კრამნიკს 70-ით უსწრებს.

ბოლო პერიოდში გავრცელდა ხმები, თითქოს ტოპალოვი თამაშებისას სვლებს საჭადრაკო პროგრამებიდან იღებდა. ბოლო წლებში ვესელინმა თითქმის ყველა ტურნირი ერთი ამოსუნთქვით მოიგო და კონცენტრაციაც არ დაუკარგავს, თანაც მისი კომპინაციები ძალიან ჰგავდა ცნობილი პროგრამების „ფრიცისა“ და „ფიშისას“. გავრცელებული ხმების მიუხედავად, ტოპალოვს ბრალს ვერ წაუყენებენ, რადგან ამის და-

მამტიკივებული ოფიციალური საბუთები არ არსებობს.

მატჩი ელისტაში 23 სექტემბერს დაიწყება. მოჭადრაკეები სულ 12 პარტიას ითამაშებენ და ყაიბის შემთხვევაში ბრძოლას ტაი-ბრეიკებში გააგრძელებენ.

საპრიზო ფონდი 1 მილიონი დოლარია. შედეგის მიუხედავად, თითოეული მოჭადრაკე 400-400 ათასით დაჯილდოვდება, დარჩენილი 200 ათასი კი ფიდეს ანგარიშზე ჩაირიცხება.

ლუზა გეგეგორი

### მსოფლიოს ჩემპიონატი

## მსოფლიოს ჩემპიონატი ზალცბურგი. ავსტრია. 20-24 სექტემბერი

მონტრალის მშობლიურ ქალაქ ზალცბურგში საგზატიკილო ველორბოლის მსოფლიოს ჩემპიონატი გახურდა, რომელიც 24 სექტემბერამდე გასტანს და კაცებში, ქალებსა და 23-წლამდე ახალგაზრდებში მედლების 6 კომპლექტს გაათამაშებს. ამ სამი „კატეგორიის“ მხედრები ორ დისციპლინაში ეჯიბრებიან ერთმანეთს, ინდივიდუალურ და ჯგუფურ რბოლებში.

ტურნირის მონაწილეებს და ორგანიზატორებს ძალიან აშფოთებდათ ამინდი. ალპებიდან წამოსული საავდრო დრუბელი კარგახანს ასველებდა ზალცბურგის ქუჩებს და რამდენიმე უემური დღეც „აჩუქა“ იქაურებს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზემ გამოანათა, გზა გაათბო და ყველას ხასიათი გამოუკეთა.

მრბოლებიც ამხედრდნენ თავიანთ რკინის რამებზე და ერთმანეთს გამოეჩინენ. პირველად გზაზე 23-წლამდელი ჯეელები გამოვიდნენ, რომელთაც ინდივიდუალურად 39,5 კილომეტრი უნდა გაეელოთ. ეს დისტანცია ყველაზე სწრაფად ლეგენდარული ედი მერქისის მშობლიური ბელგიის შეილმა, 20 წლის დომინიკ კორნუმ დაფარა (49 წუთი და 28,42 წამი) და ნახევარ წუთზე მეტით აჯობა ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონს რუს მიხაილ იგნატიევს (+37,1 წამი). მესამე გახლდათ ფრანგი ჟერომ კოპელი (+44,7 წამი).

## კანჩელარა პინოპ ვერ დაათრო

ჭაბუკებში გამარჯვებულმა კორნუმ აღმართ-დაღმართებით საკმაოდ დამძიმებული 40 კილომეტრი 47 კმ/სთ საშუალო სიჩქარით გა-

იარა. ასეთი სიჩქარე თავისთავად ვერ განავითარეს ქალებმა. მათ შორის საუკეთესომ, ამერიკელმა კრისტინ არმსტრონგმა სუსტი სქესის

წარმომადგენელ ველომრბოლელთათვის მონიშნული 26 კილომეტრი 35 წუთსა და 4,9 წამში გაიარა, რაც 45 კმ/სთ-ს უდრის. არმსტრონგი შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზორი გახლდათ, ახლა კი მან მთავარ კონკურენტს და მოქმედ ჩემპიონს, შვეიცარიელ კარინ ტურიგს ფინიშთან 25,57 წამით მიასწრო. ლიდერთან 29,36 წამიანი ჩამორჩენით ბრინჯაო შეხვდა არმსტრონგის თანამემამულე და სეხნია კრისტინ ტორბერნს.

ეს ყოველივე 21 სექტემბერს ხდებოდა, 22-ში კი, ანუ გუშინ დიდ გზაზე ნამდვილი მხედრები, მამაკაცები გამოვიდნენ და სუსტი სქესის ძლიერ და ძლიერი სქესის სუსტ (ახალგაზრდა) წარმომადგენლებს აჩვენეს, როგორ უნდა პედელების ტრიალი.

სულ ახლახან „გუელტაზე“ ბოლომდე დახარჯული და ესპანეთიდან ჩემპიონის ტიტულის წამოძღვები ალექსანდრ ვინოკოროვი ზალცბურგში ამბიციებით ჩავიდა, ოღონდ მათ ხორშესხმას ჯგუფურ რბოლაში უფრო გეგმავდა, ვიდრე ინდივიდუალურში, მით უფრო, რომ ჩემპიონატს ნამდვილად არ აკლია წვივ-დაბორცვილი ინდივიდუალისტები. მაგრამ ძალიან ძლიერი მრბოლი რომაა, ყაზანმა ინდივიდუალურობაშიც დაამტიკა, როდესაც მესამე ადგი-


ლი და ამის მომყოლი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

50,8 კილომეტრიან რბოლას კარგა ხანი ლიდერობდა მძლავრი დანიური პროფესიული გუნდის CSC-ს დანიელივე წარმომადგენელი ბრაიან ბაზ ვანდბორგი, თუმცა ის უშედეგოდ დარჩა. ჯერ მისმა თანაგუნდელმა (ოღონდ არა ამ ჩემპიონატზე) ამერიკელმა დევიდ ზაბრისკიმ გაასწრო, შემდეგ ვინოკოროვმა ბოლოს კი CSC-ს კიდევ ერთმა წევრმა, ზორბა შვეიცარიელმა ფაბიან კანჩელარამ, რომელმაც რბოლა უზარმაზარი უპირატესობით მოიგო — 50,8 კილომეტრი 1 საათსა და 11 წამში (საშუალო სიჩქარე 50,7 კმ/სთ) დაფარა და ზუსტად წუთნახევრით აჯობა ზაბრისკის, ხოლო ვინოკოროვს 1 წუთი და 50 წამით მიასწრო ფინიშთან.

საერთოდ არაფერი შეხვდა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს, ავსტრალიელ მაიკლ როჯერსს. ლიდერთან ორნახევარი წუთით ჩამორჩენამ მას მხოლოდ არაფრისმოცემი მერვე ადგილი არგუნა.

დღეს მედლების ორი კომპლექტი თამაშდება — ახალგაზრდები და ქალები ჯგუფურად ირბოლებენ, ხვალ კი მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო და მთავარი შეჯიბრია, კაცთა ჯგუფური რბოლა, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები, 265-კილომეტრიან გზას მოიცავს.

კოტა ყოფნა



ფაბიენ კანჩელარამ რომ დიწყო, ბოლომდე ახლოს არავინ გაიკარა

### სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცავს 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოცემის ორგანო, საგაზეთო, ოთხგაზეთო, ხუთგაზეთო, პარასკევის და შაბათს

გამომცემელი ზურაბ შოქხვიანი  
დირექტორი ბიორბი ოქროსქაღალაძე  
მთავარი რედაქტორი თამაზ მიხრიაშვილი  
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალვაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგუშვილი  
ჭირთული ფეხბურთის რედაქტორი: დავით თავართქილაძე  
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი  
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: ვასილ შანიშვილი  
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: ვიო ახვლედიანი,  
ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანიძე, გიორგი ვაშაყიძე

გიორგი კაკაბაძე, ლალი ხომერიკი  
ინფორმაციის რედაქტორი: ბიორბი ბერიძე  
ინფორმაციის რედაქტორი: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი,  
ოთარ მაღლაკლიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი  
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლიჯაშვილი, ბადრი კვიციანი  
სტილისტები: ნათელა ვიორგობანი, ლალი გოზალიშვილი  
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია,  
ზათუნა ბუსუნიაშვილი, ფატი დვალისძე, მაგდა დოვრიაშვილი,  
რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარედაქციო საზღვარი: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე  
ყაზანის გამზირი 42, II  
ქორაპუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი:  
თბილისი — 79, საფოსტო  
წუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა  
sarblieli@gol.ge  
ელექტრონული ვერსია  
http://www.sarblieli.com.ge